საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 24

27-28.09.2011

თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

*საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:*

**კახი ყურაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**იოსებ სალუქვაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

**ლალი ღოღელიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

**ანა კლდიაშვილი** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

**რუსუდან ტყეშელაშვილი** - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

**ნინო ძოწენიძე** - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (ესწრებოდა პირველი, მე-2 და მე-3 საკითხების განხილვას);

**დავით კახნიაშვილი** - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

პეტრე წურწუმია - დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

*ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრის დირექტორი ბესარიონ ცეცხლაძე, დეკანი ნუგზარ შავლაყაძე, აკადემიური პროგრამების დირექტორი ნინო ჯოჯუა;

2. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ანზორ შარაშენიძე, იურიდიული სამსახურის უფროსი თემურ წურწუმია;

3. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის დირექტორი ინგა მანაშერიძე, იურისტ-კონსულტანტი ეკა ლუაშვილი, ხარისხის სამსახური - მერი გაბედავა;

4. შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიის რექტორი ამირან მექვაბიშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი მარინე მეტრეველი, იურიდიული სამსახურის უფროსი ზვიად არძენაძე;

5. შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯის რექტორი მურმან ედილაშვილი, დეკანი მიხეილ ბეგიაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მევლუდი სირაძე;

6. სპს - „ლომისი I თამარ ბარძიმაშვილის" დირექტორი თამარ ბარძიმაშვილი;

7. შპს -,,თბილისის მწვანე სკოლის" დირექტორი კახა დავითური;

8. შპს - „ცოდნის" (ს/კ: 229722324) დირექტორი ბელა ბოლქვაძე;

9. შპს - რეცას დირექტორის მოადგილე ნინო ცინაძე;

10. შპს -„მედიანა 2011-ის დირექტორი უშანგი აბულაძე, სასწავლო ნაწილი ზაურ სოლომონიძე;

11. შპს - ლაშარის დირექტორი ჯენერი არქანია, აღმასრულებელი დირექტორი მეგი სიდამონიძე;

12. შპს - „ნილემის" გენერალური დირექტორი მზია ლეჟავა;

13. შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ელიზა კოშაძე;

14. შპს - მრავალპროფილიანი საერთო არასახელმწიფო ლიცეუმ „ქიაჩის" დირექტორი ვარო კვარაცხელია, ს/ნ გამგე ნატო შანავა;

15. სპს - „თამარ ნათენაძის" დირექტორი თამარ ნათენაძე;

16. შპს - „არეას" დირექტორი ბეატრის რუსია.

*ავტორიზაციის ექსპერტები:*

თამარ გვიანიშვილი;
ელენე გვენცაძე;
კახაბერ ერაძე;
ქეთევან ინანიშვილი;
ელენე გვენცაძე;
ნინო ფეტვიშვილი;
ქეთევან ინანიშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
ქეთევან ბოტკოველი;
ლეილა გველესიანი;
ლიანა ჩარკვიანი;
მაია ხურცილავა;
კახა ჟღენტი;
რეზო ნინუა;
ნათია ქაჯაია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:25 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სპს - „ლომისი I თამარ ბარძიმაშვილის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
7. შპს - „თბილისის მწვანე სკოლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „ცოდნის“ (229722324) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - რეცას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს -„მედიანა 2011“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - ლაშარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - „ნილემის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - მრავალპროფილიანი საერთო არასახელმწიფო ლიცეუმ „ქიაჩის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. სპს - „თამარ ნათენაძის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - „არეას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობები არ ყოფილა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების შესახებ. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაწესებულების ხელმძღვანელობის სურვილია, წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები, არგუმენტები და მტკიცებულებები დასკვნაში გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით. თუმცა ეს შეუძლებელია, რადგანაც ექსპერტთა დასკვნა შეიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას დანართების, კერძოდ, დანართების ნუმერაციისა და ფურცელთა რაოდენობის შესახებ. დოკუმენტის შინაარსი, რითაც შესაძლებელი გახდება მისი იდენტიფიცირება და შეფასება, მითითებული არ არის, რის გამოც დაწესებულებისათვის უცნობია, თუ რა მტკიცებულებები უდევს საფუძვლად დასკვნაში მოყვანილ შეფასებებს და სირთულეს წარმოადგენს სრულყოფილი არგუმენტაციისა და დასკვნის გამაბათილებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. შესაბამისად, დაწესებულების სურვილია, განესაზღვროს დამატებითი ვადა 2 კვირის ოდენობით, დასკვნაზე დართული დანართების ცენტრისაგან გამოთხოვის, შესწავლისა და გამაბათილებელი მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, ჩაბარდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, იყო თუ არა ერთი კვირით ადრე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი 2011 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე განიხილებოდა და იყო თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შედგენილი მხოლოდ დაწესებულების მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული გარემოებები, მათ შორის ისიც, რომ ექსპერტებმა დასკვნა შეადგინეს დაწესებულების მიერ მათთვის მიწოდებული დოკუმენტების, დაწესებულების აქტების საფუძველზე. ამასთან განაცხადა, რომ მტკიცებულებების ნაწილი წარმოდგენილი აქვთ, თუმცა ვერ მიხვდნენ დასკვნაში მითითებულ ზოგიერთ დანართში რომელ დოკუმენტებს გულისხმობდნენ ექსპერტები. სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ითხოვდა დაწესებულება საკითხის განხილვის გადადებას ხარვეზების უკეთ გაცნობისა და გამოსწორების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ მიზეზი იყო დანართის სახით განსაზღვრული დოკუმენტების იდენტიფიცირების შეუძლებლობა, მაშინ რატომ არ გაითხოვა დაწესებულებამ დანართები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ არ იცოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თუკი დაწესებულებისათვის ცნობილია, რომ საბჭოს სხდომაზე შეიძლება შუამდგომლობის დაყენება საკითხის განხილვის გადადების შესახებ დანართების გათხოვის მიზნით, მაშინ ისიც იქნებოდა ცნობილი, რომ ნებისმიერ სხვა დროს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოდან გაითხოვოს საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ მიეკუთვნება პერსონალურ, პირად ან სახელმწიფო საიდუმლოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ დამატებით ვადას განსაზღვრავდა არა საბჭო, არამედ ცენტრი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ თვლიდა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორებადია და არ არის არსებითი ხასიათის. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარის აზრით, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, რაც მისი აზრით ამ შემთხვევაში სახეზე არაა, თუმცა საბჭო დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განიხილავს შუამდგომლობას საკითხის განხილვის გადადების შესახებ და თუ დაადგენს, რომ ხარვეზები, რაც ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს, არაარსებითია და ამავდროულად აღმოფხვრილია ან აღმოფხვრადია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით არაარსებითი ხარვეზების გასასწორებლად დამატებითი ვადის განსაზღვრის მოთხოვნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა სალომე ფრუიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს 3 საგანმანათლებლო პროგრამას: „მენეჯმენტის" და „საერთაშორისო მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამებს და „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამას.

1.1.1 სამივე საგანმანათლებლო პროგრამის პირველ გვერდზე მითითებულია, რომ საგანმანათ-ლებლო პროგრამები „დამტკიცებულია კავკასიის აკადემიური ცენტრის აკადემიური საბჭოს მიერ". ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტისთვის არც საგანმანათლებლო პროგრამები და არც სასწავლო კურსების სილაბუსები არ იყო დამტკიცებული (აკლდა აკადემიური საბჭოს ოქმის/გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი), დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს შესაბამისი ოქმები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება, თუმცა აღნიშნული დადგენილება არსად არ არის რეგისტრირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსები ითვლება პროგრამის შემადგენელ ნაწილად. მათ არ სჭირდებათ ცალკე დამტკიცება. თავად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება კი სავალდებულოა და უფლებამოსილი ორგანოს, ამ შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს, მიერ პროგრამის დამტკიცების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს. თავმჯდომარე დაინტერესდა, მოცემულ შემთხვევაში ექსპერტები სილაბუსებთან დაკავშირებითაც ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ისინი უნდა ყოფილიყო დამტკიცებული ცალკე აქტით.

მომხსენებლის განმარტებით, შენიშვნა ზემოაღნიშნული სახით, პროგრამებთან და სილაბუსებთან მიმართებით, ექსპერტთა დასკვნაში იყო მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რა ფორმით ხდებოდა დაწესებულებაში დადგენილებების რეგისტრაცია და რატომ არ იყო დარეგისტრირებული პროგრამის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება, როგორც ქრონოლოგიურად მიღებული ერთ-ერთი აქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დადგენილებები რეგისტრირდება ჟურნალში და რომ შეუძლია ჟურნალის საბჭოსათვის წარდგენა. თავმჯდომარე დაინტერესდა, აჩვენეს თუ არა ჟურნალი ექსპერტს. დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჟურნალის ჩვენება მოხდა. თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს - თამარ გვიანიშვილს, სხდომაზე კიდევ ერთხელ დაედასტურებინა დასკვნაში მითითებული გარემოება, რომ პროგრამებზე არ იყო მითითებული მათი დამტკიცების შესახებ აქტების რეკვიზიტები და რომ ჟურნალში არ იყო რეგისტრირებული აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამების დამტკიცების შესახებ. ექსპერტის მიერ პოზიციის დაფიქსირებამდე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მართლაც არ იყო ჟურნალში რეგისტრირებული პროგრამების დამტკიცების დადგენილება. შესაბამისად, თავმჯდომარემ შეკითხვა მოხსნა. მან აღნიშნა, რომ საბჭო უნდა დარწმუნდეს

დაწესებულების მიერ გამოცემული აქტების სანდოობაში. ნებისმიერი აქტი, იქნება ეს ბრძანება, დადგენილება თუ გადაწყვეტილება, სანდო აღრიცხვიანობის მიზნით რეგისტრირებული უნდა იყოს შესაბამის ჟურნალში.

1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამების ტექსტში პროგრამების სხვადასხვაგვარი დასათაურებაა: მაგ.: „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში – ა) „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი"; ბ) „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა"; გ) „ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა".

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რით იყო სამი სათაურის არსებობა განპირობებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მენეჯმენტი და ადმინისტრირება შინაარსობრივად ერთი და იგივეა. ამასთან, აღნიშნული განსხვავებების არსებობა წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი არ არის ამ სფეროს სპეციალისტი და არც არის ვალდებული, იცოდეს, არის თუ არა განსხვავება ტერმინებს შორის. იგი დაინტერესდა, როდესაც სტუდენტი კითხულობს პროგრამას, ხომ არ არის ასეთი განსხვავებული სახელწოდებები მისთვის დამაბნეველი. თავმჯდომრემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა კვალიფიკაცია მიეთითებოდა დიპლომში.

დაწესებულების წარმომადეგნელმა განაცხადა, რომ დიპლომში მიეთითებოდა ის აკადემიური ხარისხი, რომელიც არის დადგენილი პროგრამით. ამასთან, დაადასტურა, რომ სახეზე იყო ტექნიკური ხარვეზი.

1.1.3 ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია/ აკადემიური ხარისხი სხვადასხვანაირია. მაგ.: ა) „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში"; ბ) „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი".

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის სახელწოდების შესახებ შეკითხვა უკვე დასმული იყო წინა ხარვეზის განხილვის დროს, რაზეც უპასუხეს, რომ კვალიფიკაცია ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი კვალიფიკაციის სახელწოდებები პროგრამაში სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი" პროგრამის ტექსტში კონტექსტში არის ნახსენები, სადაც სწავლის შედეგებზე არის საუბარი. მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში".

საბჭოს წევრებმა ჩათვალეს, რომ რადგანაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად იყო განსაზღვრული, შესაძლებელი იყო, ერთი სიტყვა უბრალოდ გამორჩათ და აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური იყო.

1.1.4 საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მაგ., „მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამაში: „საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი".

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა შენიშვნის დაზუსტება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენიშვნა მდგომარეობდა ტერმინ „სრულის" მითითებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან, სადაც აღნიშნული ტერმინი იყო გამოყენებული. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ტერმინების აღრევა არაარსებითია და შენიშვნა არ არის გასაზიარებელი.

1.1.5 საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმები შეიცავენ იდენტურ ინფორმაციას, მაგ.: „პრაქტიკის დეტალური გეგმა", „საბაკალავრო ნაშრომი" და „სამაგისტრო ნაშრომი". სამივე კომპონენტის შინაარსი ყველა პროგრამის ფარგლებში იდენტურია.

ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული გარემოება და განაცხადა, რომ კურიკულუმებში სამივე კომპონენტისათვის დადგენილი მოთხოვნები, შეფასების სისტემა, ნაშრომებისათვის განსაზღვრული გვერდების რაოდენობაც კი იდენტურია, აღწერა იმდენად ზოგადია და სიტყვა სიტყვით ერთნაირი,

რომ პრაქტიკულად არანაირად არ განსხვავდება მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისათვის. აგრეთვე დაამატა, რომ პრაქტიკის დეტალურ გეგმაში მოცემულია მხოლოდ ორი სახის შეფასება - დადებითი და უარყოფითი, რაც ასევე კანონდარღვევაა; არ არის არანაირი ინფორმაცია შეფასების კომპონენტების შესახებ, რა აქტივობებს გულისხმობს სასწავლო პრაქტიკა და როგორ ფასდება ეს აქტივობები. მომხსენებელმა დაადასტურა, რომ ეს შეფასებები ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ შეფასების წესს.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ამ შენიშვნას და განაცხადა, რომ სიტყვა „იდენტური" ნიშნავს ერთი და იგივეს. მოცემულ შემთხვევაში კი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების კომპონენტები მსგავსია, მაგრამ ისინი იდენტური არ არის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც პრაქტიკის, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსები ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნებოდა კომპონენტის მიზნები, შედეგები, შეფასების ფორმა, კრიტერიუმები, არ იქნა წარმოდგენილი. ამ კომპონენტების შესახებ აღნიშნული იყო მხოლოდ კურიკულუმებში აბსოლუტურად იდენტური შინაარსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სილაბუსი არ აქვთ, თუმცა აღნიშნული კომპონენტების შინაარსის აღწერა და დეტალური გეგმა ჩადებულია კურიკულუმში და აკადემიურ შინაგანაწესში, სადაც მოცემულია პრაქტიკის მიზანი, სწავლის შედეგები, დეტალური გეგმა, რა უნდა შეეძლოს სტუდენტს პრაქტიკის გავლის შემდეგ.

თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ მომხდარა შესაბამისი სილაბუსების გადამოწმება.

ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არანაირი დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც აღწერდა პრაქტიკის მიმდინარეობას, სამაგისტრო ან საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტისადმი მოთხოვნებს, არ არსებობს.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, იკითხა, ანიჭებდა თუ არა დაწესებულება სტუდენტს კრედიტს პრაქტიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კრედიტის მინიჭება ხდებოდა.

იოსებ სალუქვაძემ დასვა საკითხი, ავტორიზაციის საბჭოს რამდენად ღრმად უნდა განეხილა სილაბუსებში მოცემული შინაარსობრივი თემატიკის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსების სიღრმისეული გამოკვლევა საბჭოს არ უნდა მოეხდინა, თუმცა რამდენადაც დაწესებულება სტუდენტებს უშვებდა პრაქტიკაზე სხვა ორგანიზაციაში, რაშიც შემდეგ ანიჭებდა კრედიტს, ხოლო ამ პრაქტიკის სილაბუსი არ არსებობდა, აღნიშნული არ ეხებოდა სილაბუსების შინაარსობრივ ასპექტს და უდავოდ წარმოადგენდა ხარვეზს.

1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემული ზოგიერთი ინფორმაცია არაზუსტი და გაუგებარია: მაგ., „ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც თბილისის ბიზნეს სკოლის ყველა სტუდენტისთვის" მაშინ, როდესაც დაწესებულების სახელწოდება არის „კავკასიის აკადემიური ცენტრი".

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი ტექნიკურია, რამდენადაც დაწესებულების სახელწოდება 2009 წელს იყო შპს - თბილისის ბიზნეს სკოლა და შემდეგ მოხდა სახელწოდების შეცვლა.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ, რომ აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური ხასიათისაა.

1.1.7 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კომპონენტის - პრაქტიკის - კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებულია მხოლოდ დამოუკიდებელი მუშაობის საათები, შედეგები არ არის აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით, არ არის მითითებული პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრაქტიკა უმეტესწილად საკონტაქტო საათებს მოიცავს. დამოუკიდებელი მუშაობისათვის დრო თითქმის არ არის საჭირო, სტუდენტი სახლში არ გადის პრაქტიკას. როდესაც სტუდენტი გადის პრაქტიკას, მას ენიშნება მენტორი ან კურატორი,

რომელიც სტუდენტს უსაზღვრავს გეგმას, აძლევს კონკრეტულ დავალებებს. აღნიშნული კი აქტიური (საკონტაქტო) საათის ნაწილია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საათების განაწილებისას იხელმღვანელა საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით დაგენილი წესით. პრაქტიკის დროს სტუდენტის დატვირთვა მოიცავს დამოუკიდებელ მუშაობას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიდგომა მცდარია.

1.1.8 არც საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებში და არც „აკადემიურ შინაგანაწესში" არ არის მითითებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მიზნები და შედეგები.

თავმჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთან, საბაკალავრო ნაშრომის მიზანზეა საუბარი, თუ საბაკალავრო ნაშრომის პროგრამაში ჩასმის მიზანზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი, სასწავლო კურსების მსგავსად არის ცალკე კომპონენტი, რაშიც კრედიტს ანიჭებენ. მისი სწავლის შედეგები უნდა იყო გაწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით.

თავმჯდომარის თქმით, ეს შენიშვნაც ეხება იგივე პრობლემას, რაც დაკავშირებული იყო საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსების არქონასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკას აქვს მიზანი და შედეგები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ პროგრამის ტექსტში წერია. მან წაიკითხა შესაბამისი მონაკვეთი ტექსტიდან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შენიშვნას. მისი პოზიცია გაიზიარა საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა.

1.1.9 არც პროგრამებიდან და არც სილაბუსებიდან არ დგინდება, თუ რა აქტივობა (ლექცია, სემინარი, შუალედური და ფინალური გამოცდები და ა. შ.) მოიაზრება საკონტაქტო საათებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსის პირველ გვერდზე მითითებულია სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, რომელიც იყოფა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად. შემდეგ საკონტაქტო საათები იშლება ლექციებად და სემინარებად.

ექსპერტმა განმარტა, რომ ლექცია/სემინარების საათობრივი გაშლა მოცემულია, თუმცა მათი ჯამი არ ემთხვევა სილაბუსში მითითებულ კრედიტ-საათს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეალურად შენიშვნა მდგომარეობს არა საკონტაქტო საათების გაშლის არარსებობაში, არამედ მათ არასწორ დაჯამებაში.

1.1.10 საბაკალავრო პროგრამების შესაბამისად, „სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა, საკონტაქტო კვირა – 15. ფინალური გამოცდები ტარდება სემესტრის ბოლოს". ანუ ფინალური გამოცდები არ მოიაზრება საკონტაქტო საათებად.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ გამოცდაც წარმოადგენს საკონტაქტო საათს, შესაბამისად, საკონტაქტო საათებია ფინალური გამოცდისათვის განსაზღვრული 4 კვირა. გამოცდის ჩატარების პერიოდი აქტიური საათია. გამოცდის ჩატარება ისე, რომ იგი ჩაითვალოს ინდივიდუალურ მუშაობად, შეუძლებელია. შეუძლებელია სტუდენტის შეფასება მასთან კონტაქტის გარეშე.

1.1.11 სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად, „ტრიმესტრის ხანგრძლივობაა 13 კვირა. ფინალური გამოცდები ტარდება ტრიმესტრის XII-XIII კვირას". ამავე დროს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სასწავლო კურსის ხანგრძლოვობა აღნიშნულზე ნაკლებია (მაგალითად, ზოგადი ფინანსების სილაბუსი) ან მეტია (მაგალითად, ბიზნეს სამართლის სილაბუსი).

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს ჰკითხა, შეიძლება თუ არა აკადემიური პროგრამა გრძელდებოდეს 13 კვირა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის ტრიმესტრები, რის გამოც პროგრამა არის 13-კვირიანი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამის ტრიმესტრებად დაყოფა წინააღმდეგობაში ხომ არ მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უნდა იყოს 15-კვირიანი და დაიყოს სემესტრებად.

ბრძანების რეგულაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის ტრიმესტრებად დაყოფა შესაძლებელია.

თავმჯდომარემ დაადგინა, რომ დაწესებულებას ტრიმესტრში აქვს 13 კვირა, სამი ტრიმესტრის შემთხვევაში აკადემიური წლის განმავლობაში მივიღებთ 39 კვირას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი მთავრდება 11 კვირაში, ზოგი კი - 16 კვირაში, რაც შეუსაბამობაშია კურიკულუმთან, რომლის მიხედვითაც, სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა. აღნიშნული გვხვდება ორ სილაბუსში. შესაბამისად, ორი სილაბუსი არ შეესაბამება პროგრამას.

1.1.12 საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული დასაქმების სფეროები არ შეესაბამება კურიკულუმებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს და მათ სტატუსს. მაგ., „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის დასაქმების სფეროში აღნიშნულია: „შეეძლებათ იმუშაონ საგადასახადო-სადაზღვევო სისტემის ყველა რგოლში, საგადასახადო ინსპექციებში, დაზღვევისა და საბაჟო სფეროს ორგანიზაციებში", ამავე დროს, სამაგისტრო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საბაჟო და საგადასახადო საქმესთან დაკავშირებული სასწავლო კურსები, ხოლო დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის მხოლოდ არჩევითი სასწავლო კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასაქმების სფეროში საგადასახადო-სადაზღვევო სისტემის „ყველა" რგოლის მითითება წარმოადგენს ხარვეზს, უნდა ეწეროს დასაქმება მენეჯერულ დონეზე.

რაც შეხება სტუდენტების მიერ შესაბამისი განათლების მიღებას, სტუდენტები იღებენ ასეთ განათლებას. ისინი სწავლობენ ბიზნეს სამართალს, ზოგად ფინანსებს, ფინანსურ მენეჯმენტს, საბანკო საქმეს (არჩევით საგნად). აგრეთვე ხშირია შემთხვევა, როდესაც პრაქტიკის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს დამსაქმებლები იღებენ სამსახურში.

1.1.13 საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ ბაკალავრის კომპეტენციებს. მაგ., „მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა - „დასკვნის უნარი": „ახალი განყენებული მონაცემების და სიტუაციების ანალიზი", „ახალი მეთოდის გამოყენებით შეეძლება..."; „სწავლის უნარი": „დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება". კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით, ბაკალავრს შეუძლია „სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება" („დასკვნის უნარი"); „სწავლის უნარი - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა".

საბჭომ აღნიშნული შენიშვნა არ ჩათვალა არსებითად და არ გაიზიარა.

**1.2 სილაბუსებთან დაკავშირებით:**

1.2.1 სასწავლო კურსის დასახელება არ შეესაბამება კურიკულუმში მითითებულს: მაგ., კურიკულუმში დასათაურებულია „ფასიანი ქაღალდები და ინვესტიციები", ხოლო სილაბუსში - „ინვესტიციები".

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, მენეჯერული პრობლემა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთდროულად ბევრი ხარვეზია გამოვლენილი.

1.2.2 სასწავლო კურსის დასახელება მითითებული არ არის: მაგ., დაუსათაურებელი სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი.

1.2.3 სასწავლო კურსების წინაპირობების სახით მითითებული სასწავლო კურსები არ არის გათვალისწინებული კურიკულუმით ან წარმოადგენს არჩევით სასწავლო კურსს: მაგ., სასწავლო კურსის „მაკრომაჩვენებლების გავლენა ეკონომიკურ სუბიექტებზე" შესწავლის წინაპირობებია მაკროეკონომიკა; მიკროეკონომიკა; საბანკო საქმე. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის"

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში „მაკროეკონომიკის“ და „მიკროეკონომიკის“ სასწავლო კურსები გათვალისწინებული არ არის, ხოლო „საბანკო საქმის“ სასწავლო კურსი არჩევითია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული წინაპირობების დადგენა თავად სასწავლო კურსების პედაგოგების ინიციატივით მოხდა. მისი აზრით, აღნიშნული არ არის ტექნიკური ხარვეზი და სწორადაა გაკეთებული. სტუდენტები პირველივე სემესტრში მაგისტრატურაში სწავლობენ „ეკონომიკსს“, ამავე დროს მაგისტრატურაში მისაღები ტესტი არის კომპლექსური.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც საგანს წინაპირობა აქვს განსაზღვრული, წინაპირობა შეიძლება იყოს კრედიტის მოპოვება სხვა რომელიმე საგანში. არ არის სავალდებულო, საგანი და მისი წინაპირობა ერთი სასწავლო პროგრამის ნაწილები იყოს. მთავარია, რომ წინაპირობის სახით მითითებული საგნის არჩევა დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში იყოს უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრის ლალი ღოღელიანის განმარტებით, პრობლემა შეიქმნება მაშინ, როდესაც საგნის წინაპირობა ისწავლება ბაკალავრიატში, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე შემოდის სტუდენტი, რომელმაც ბაკალავრიატის სასწავლო კურსი სხვა დაწესებულებაში გაიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, მიკრო და მაკრო ეკონომიკა და საბანკო საქმე თუ ისწავლებოდა ბაკალავრიატში. ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული.

თავმჯდომარემ შენიშვნა მოხსნა.

1.2.4 სასწავლო კურსის წინაპირობები სილაბუსის სხვა კომპონენტის (შინაარსის, სავალდებულო ლიტერატურის) შეუსაბამოა: მაგ., „ბიზნეს სამართლის“ წინაპირობა“ ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული) ცოდნა“ მაშინ, როდესაც სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა მხოლოდ ქართულენოვანია და არ არის მითითებული სავალდებულო უცხოენოვანი ინტერნეტ-რესურსები.

საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული შენიშვნა არ წარმოადგენს ავტორიზაციის საბჭოს განხილვის საგანს.

1.2.5 სასწავლო კურსის „ზოგადი ფინანსები“ შინაარსი ატარებს სავარაუდო ხასიათს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს, რადგანაც სილაბუსის ფორმის ნიმუშიდან იყო დარჩენილი ეს ჩანაწერი.

1.2.6 სწავლის შედეგები აღწერილია ზოგადად და იდენტურია სხვადასხვა სასწავლო კურსის შემთხვევაში: მაგ., სასწავლო კურსები „საერთაშორისო ბიზნესი – ფირმა გლობალურ გარემოში“, „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში I“, „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II“.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამ განსხვავებულ საგანს აქვს იდენტური სწავლის შედეგები. მისი აზრით, დაუშვებელია ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებს ერთნაირი შედეგები ჰქონდეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედეგები ძალიან ზოგადად არის გაწერილი.

1.2.7 სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს: მაგ., სასწავლო კურსის „ბიზნესის სამართალი“ სწავლის შედეგებია „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - ახალ და მულტიდისციპლინარულ გუნდში მოქმედება“, „ღირებულებები - ღირებულებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების უნარი“. ჩარჩოს მიხედვით, „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად“; „ღირებულებები - პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება“.

საბჭომ არ გაიზიარა შენიშვნა.

1.28 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში მიმოხილვა, მიზანი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, შედეგები და ნაწილობრივ შინაარსი სრულიად იდენტურია: მაგ., სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ბიზნესის სტატისტიკა“ და საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ბიზნესის სტატისტიკა“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განცხადა, რომ მოცემულ სილაბუსებში თემები ერთმანეთისაგნ განსხვავდება. ლიტერატურა ერთია, მაგრამ საკმაოდ სქელი წიგნებია და მათში სხვადასხვა დონეა. ბაკალავრიატში ასწავლიან სხვა დონით და მაგისტრატურაში სხვა დონით.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ შინაარსი არის ნაწილობრივ იდენტური, თუმცა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და შედეგები აბსოლუტურად იდენტურია.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში არავინ ისწავლის, თუ ბაკალავრიატი იგივე შედეგს აძლევს. გარდა ამისა, სილაბუსში მარტივად უნდა ჩანდეს განსხვავება იმგვარად, რომ მის აღმოჩენას არ სჭირდებოდეს სპეციალური კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები ყურადსაღებია. სილაბუსი თავად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას ყველა შეკითხვაზე. მისი შემდგომი განმარტებები საჭირო არ უნდა იყოს. მისი თქმით, ნაწილიც რომ არ გაითვალისწინოს საბჭომ ექსპერტთა შენიშვნებიდან, მეორე ნაწილი ნამდვილად გასათვალისწინებელია და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც - ცხადი.

ექსპერტმა თავმჯდომარეს წარუდგინა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები. თავმჯდომარემ ადგილზე გადაამოწმა სილაბუსები და განაცხადა, რომ სილაბუსებიდან არ ჩანდა, რომ სასწავლო კურსები სხვადასხვა შედეგზე გადიოდა და სხვადასხვა საკითხს ასწავლიდა.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის შესაძლებლობა აღწერილია კავკასიის აკადემიური ცენტრის „აკადემიურ შინაგანაწესში“, სადაც მითითებულია, რომ სტუდენტს არჩევის შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ „საერთაშორისო მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამებზე.

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს მხოლოდ სავალდებულო კომპონენტებს (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი). აქედან გამომდინარე, არჩევითობის შესაძლებლობა დაცული არ არის.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მომხსენებელს და განაცხადა, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში ყველა საგანი არის სავალდებულო.

1.4 არც საგანმანათლებლო პროგრამებში და არც „აკადემიურ შინაგანაწესში“ არ არის ინფორმაცია თავისუფალი კრედიტების არჩევის შესაძლებლობის შესახებ.

საბჭომ 1.4 შენიშვნა 1.3 შენიშვნის ნაწილად მიიჩნია.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 დაწესებულებას მფლობელობაში აქვს, ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის I-III სართულებზე იჯარით აღებული ფართი 1127,05 კვ. მ. თუმცა შპს - კავკასიის აკადემიურ ცენტრს საერთო ჯამში სასწავლო მიზნებისათვის აქვთ 464,03 კვ. მ. ფართი, აქედან: ლაბორატორიებია - 30,74 კვ. მ.; აუდიტორიებია - 343,7 კვ. მ.; ბიბლიოთეკა - 74,64 კვ. მ.; აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახის ფართია - 14,95 კვ.ვმ. დამხმარე ფართის ოდენობაა 383,43 კვ. მ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური ნახაზი, რომლის მიხედვითაც მოხდა შენობის ფართის შესწავლა, არ ემთხვევა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულ ფართებს, კერძოდ: პირველი სართულის ფართი ტექნიკური ნახაზის მიხედვით არის 330,72 კვ. მ., ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერი მიხედვით კი 591,65 კვ. მ. მეორე სართულის ფართი ტექნიკური ნახაზის მიხედვით არის 341,44 კვ. მ., საჯარო რეესტრის მიხედვით კი 250,4 კვ. მ. მესამე სართულის ფართი

ტექნიკური ნახაზის მიხედვით არის 379,3 კვ. მ., საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია 285 კვ. მ.

მფლობელობაში არსებულ ზემოთ ნახსენებ ფართს სასწავლო უნივერსიტეტი „კავკასიის აკადემიურ ცენტრი“ არ იყენებს მხოლოდ ავტორიზირებული პროგრამების განსახორციელებლად, ამავე ფართში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს „სასერტიფიკაციო კურსებს“ მარკეტინგში, კომპიუტერულ პროგრამებში, B-START-სტრატეგიულ ბიზნეს-თამაშში და ა.შ. მოხსენიებულ ფართში ფუნქციონირებს აგრეთვე შპს - „სი ეი სი“ (CAC). ამდენად, დაუდგენელია, ხორციელდება თუ არა 24-საათიან რეჟიმში საგანმანათლებლო საქმიანობა, რეალურად არის თუ არა სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელ ტექნიკურ ნახაზზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებამ კერძო ფირმას შეუკვეთა ნახაზის შექმნა.

რადგანაც საერთო ფართი ემთხვეოდა, აღნიშნული ხარვეზად არ ჩაითვალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს მათივე კურსებია, რომელებიც საღამოს საათებში ხორციელდება.

თავმჯდომარემ იკითხა შპს ,,სი-ეი-სი“-ს მფლობელობა აღნიშნულ ფართზე რა დოკუმენტით დასტურდებოდა.

მომხსენებლის განმარტებით, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ დასკვნაში არ არის მოცემული.

საბჭომ არ გაიზიარა შენიშვნა.

2.2 შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრის მფლობელობაში არსებულ ფართში აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც კარგია, თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას საკუთრებაში აქვს: ერთი კომპიუტერი; ორი სისტემური ბლოკი („კეისი“); ორი ნოუთბუქი და ერთი მულტივიდეო პროექტორი. შენობის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ არის: ოცდაცხრა კომპიუტერი; რვა პრინტერი; ერთი „კომბაინი“ (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი); ერთი სკანერი; ერთი ქსეროქსი და სამი მულტივიდეო პროექტორი. აღნიშნულ კომპიუტერებში ჩატვირთული პროგრამები შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან. სასწავლო დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი იყო შპს - „ბრიტანულ-ქართულ აკადემიასთან“ 2010 წლის 22 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები ოცდაათი ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შეძენის შესახებ, თუმცა ამ დოკუმენტებიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა სახის კომპიუტერული ტექნიკა იყო შეძენილი შპს - „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ მიერ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტი იყო წარმოდგენილი, რითაც შეიძლებოდა, დადასტურებულიყო ტექნიკის შესყიდვის ფაქტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში კონკრეტულად არ ეწერა ტექნიკის დასახელება და სახე.

საბჭოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ რამდენადაც სასქონლო ზედნადები წარმოდგენილი იყო, კომპიუტერული ტექნიკის დაწესებულების საკუთრებაში არსებობა დასტურდება, რადგანაც ავტორიზაციის საბჭოს განხილვის საგანს არ შეადგენს სასაქონლო ზედნადების შედგენის სისწორის ფაქტის შემოწმება.

2.3 შპს - „კავკასიის აკადემიურ ცენტრში“ არაა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს. ამასთან ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის, დაწესებულებას პანდუსები მოხსნილი ჰქონდა, რაც ჩანს კიდეც კიბეებზე. რამდენადაც ექსპერტს არ მოუთხოვია პანდუსის ჩვენება, მისი წარდგენა არ მომხდარა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კიბეებზე არსებული ლურსმნებითა და სხვა მასალით ძნელია იმის იდენტიფიცირება, რომ ეს მასალა განკუთვნილი იყო პანდუსების მისამაგრებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში პანდუსების მონტაჟი ტექნიკური პერსონალის ფუნქციებში შედის.

2.4 შპს - „კავკასიის აკადემიური ცენტრში", საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით, არის „-7" წიგნი. სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, შეძენილია 37 ერთეული წიგნი. შპს - „სი ეი სი"-ს მიერ 2011 წლის 10 იანვარს გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, ბრუნდება 253 წიგნადი ერთეული, შემდეგ ზუსტად იგივე წიგნებს შპს - „CAC სი ეი სი" 2011 წლის 18 მაისს გამოწერილი ზედნადებებით აწვდის კავკასიის აკადემიურ ცენტრს. შპს - „კავკასიის აკადემიური ცენტრის" დირექტორის 2011 წლის 10 მაისის №01-11 და 2011 წლის 17 მაისის №02-11 ბრძანებების საფუძველზე ჩამოიწერა 297 წიგნადი ერთეული. 2011 წლის 17 მაისის №03-11 ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორი ითხოვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას 191 დასახელების წიგნადი ერთეულით, თუმცა ამ წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი. ამ მსჯელობის მიხედვით თუ გავაკეთებთ დასკვნას, წიგნების ბალანსს მივიღებთ ზემოთ ნაჩვენებ რიცხვს „-7"-ს.

დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკის ფონდის წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკაში არის 2344 წიგნადი ერთეული, მაგრამ მათი ფლობა არ დასტურდება დოკუმენტალურად. ვიზუალური დათვალიერების დროს წიგნები ელაგა ბიბლიოთეკაში, თუმცა ისინი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. მაგალითად, პირველ და მე-17 გვერდებზე შპს - „კავკასიის აკადემიური ცენტრის" ბეჭდის ნაცვლად სხვა ორგანიზაციის ბეჭდები იყო დასმული. ამიტომ ეს წიგნები ვერ ჩაითვლება შპს - „კავკასიის აკადემიური ცენტრის" საკუთრებად. დაწესებულებაში არ არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იკვეთებოდა შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში შპს - „სი-ეი-სი"-ს სახელი. თავმჯდომარის თქმით, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ინფორმაცია წარმოშობს ეჭვს, რომ დროებით ხდება სხვა სუბიექტის მიერ გარკვეული რაოდენობის წიგნების მიწოდება, თუმცა რა საფუძვლით, გაურკვეველია. შემდეგ კი ეს წიგნები და დოკუმენტაცია იკარგება.

თავმჯდომარის თქმით, თუკი 253 ერთეული წიგნი დაწესებულებას გადასცა სხვა იურიდიულმა პირმა, 37 თავად დაწესებულებამ შეიძინა, ხოლო შემდეგ 297 წიგნი ჩამოწერა, დაწესებულების ბალანსზე ნამდვილად -7 წიგნი გამოდის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წიგნებს ნამდვილად ჰქონდა დასმული შპს - თბილისის ბიზნეს სკოლის ბეჭედი, რადგანაც ადრე დაწესებულებას ერქვა სწორედ ეს სახელი. მოგვიანებით მოხდა მისი შეცვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რაიმე დოკუმენტით ხომ არ დასტურდებოდა 2344 წიგნის მფლობელობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ წიგნები ფიზიკურად ელაგა ბიბლიოთეკაში, თუმცა მფლობელობა ვერ დასტურდებოდა.

საბჭოს წევრი ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, იყო თუ არა ფიზიკურად არსებული წიგნები საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შესაბამისი, რაც ექსპერტმა და მომხსენებელმა დაადასტურეს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ იგი ძალიან შეაშფოთა დაწესებულების წარმომადგენლების შეხედულებებმა ადაპტირებული გარემოს სტანდარტთან დაკავშირებით. პანდუსები დამონტაჟებული უნდა იყოს მუდმივად, რადგანაც სსსმ პირი წინასწარ ვერ დარეკავს დაწესებულებაში, როდესაც ის იქ მისვლას დაგეგმავს. ეს შეიძლება იყოს არა მარტო სტუდენტი, არამედ მშობელი ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი. ადაპტირებული გარემო

არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ მთელ ქალაქში და ყველა დაწესებულებაში უნდა არსებობდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ პერსონალს ევალება პანდუსების საჭიროების შემთხვევაში დამონტაჟება.

თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რაიმეს დამატება ხომ არ სურდა განსახილველ ხარვეზებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიბლიოთეკის წიგნებს დაწესებულება ფლობს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, არსებობს წიგნების ელექტრონული კატალოგი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, წიგნების ქირავნობის ხელშეკრულება წარუდგინეს თუ არა ექსპერტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული, თუმცა ექსპერტი არ დაეთანხმა მას. დაწესებულების წარმომადგენელმა ქირავნობის ხელშეკრულება საბჭოს სხდომაზე ვერ წარმოადგინა.

საბჭოს სხდომაზე 20:45 საათზე გამოცხადდა ათწუთიანი შესვენება.

შესვენების დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 7

დაწესებულების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის აკადემიური ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, $56^4$-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის აკადემიურ ცენტრს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

**2. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა სალომე ფრუიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

**1.1 საბაკალავრო პროგრამა ფარმაცია**

1.1.1 პროგრამით გათვალისწინებულ შეფასების სისტემაში უარყოფით შეფასებას 41-დან 50-მდე ჰქვია „არადამაკმაყოფილებელი". საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად, აღნიშნული შეფასების სახელწოდებაა „ვერ ჩააბარა". შენიშვნა ვრცელდება ყველა პროგრამაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში ეს ხარვეზი არ ფიქსირდება.

1.1.2 შეფასების მეთოდებში რეალურად ასახულია შეფასების კომპონენტები, მათ შორის, შუალედური გამოცდები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი, დასწრება და ა.შ. სულ 7 კომპონენტი. პროგრამაში აღნიშნულია, რომ თითოეული მათგანი უნდა აისახოს წარმოდგენილ სილაბუსებში. თუმცა სილაბუსებში შვიდივე კომპონენტი არ არის ასახული. აღნიშნული შენიშვნა ვრცელდება ყველა პროგრამაზე.

1.1.3 სასწავლო კურსის „აკადემიური წერა" სილაბუსსა და პროგრამის სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების რაოდენობად მითითებულია 30, თუმცა თემები გაწერილია 31 საკონტაქტო საათზე. ამ ოდენობაში არ არის ჩათვლილი დასკვნითი გამოცდისათვის გათვალისწინებული საათები.

1.1.4 სასწავლო კურსის „ფიზიკა და ბიოფიზიკა" სილაბუსში მითითებულია, რომ 30 საკონტაქტო საათიდან 15 ეთმობა ლექციებს, 15 - პრაქტიკულ მუშაობას, თუმცა თემატურ გადანაწილებაში 20 საათია გამოყოფილი ლექციებისათვის, 10 - სემინარებისათვის. 30 საკონტაქტო საათში დასკვნითი გამოცდისათვის არ არის გათვალისწინებული დრო.

1.1.5 „ციტოლოგია, ჰისტოლოგიის" სილაბუსში აღნიშნულია, რომ კურსის გავლის წინაპირობაა ადამიანის ნორმალური ანატომიის გავლა, რომელიც, სილაბუსისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, ისწავლება პირველ წელს, მეორე სემესტრში, „ციტოლოგია, ჰისტოლოგიის" პარალელურად. შესაბამისად, წინაპირობის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

1.1.6 სასწავლო კურსებს „ფარმაცევტული ქიმია - 1" და „ფარმაცევტული ქიმია - 2" ერთნაირი სწავლის შედეგები აქვთ.

1.1.7 „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგიის" შესწავლის წინაპირობები, სასწავლო გეგმის მიხედვით, არის „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით", „სამედიცინო ბიოქიმია", „ადამიანის ნორმალური ანატომია". სილაბუსის მიხედვით: „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით", „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია".

სასწავლო კურსები: „სამედიცინო ბიოქიმია“, „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“ ისწავლება იმავე სემესტრში, როდესაც „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია“. შესაბამისად, წინაპირობის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

1.1.8 „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსი სასწავლო კურსის მიზნის შესახებ ინფორმაციას არ იძლევა.

1.1.9 სილაბუსებში „ორგანული ქიმია - 1“ და „ორგანული ქიმია - 2“ სასწავლო კურსების მიზნები არის იდენტური.

„ორგანული ქიმია 1“-ის სწავლის შედეგებში ექვსივე კომპონენტი არ არის გამოყოფილი, თუმცა შედეგების რუკაში წერია, რომ ეს საგანი სტუდენტს ექვსივე კომპეტენციას გამოუმუშავებს.

**1.2 საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკა**

1.2.1 პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არის სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ეკონომიკაში. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული მიმართულება არის „სოციალური მეცნიერებები“.

1.2.2 სასწავლო კურსებს „მათემატიკა ეკონომისტებისათვის - 1“ და „მათემატიკა ეკონომისტებისათვის - 2“ სწავლის შედეგები ერთი აქვთ.

1.2.3 სასწავლო კურსებს „ეკონომეტრიკა - 1“ და „ეკონომეტრიკა - 2“ იდენტური მიზნები აქვთ.

**1.3 სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა**

1.3.1 „თერაპიული სტომატოლოგია 1“-ის სილაბუსში სასწავლო კურსის შესწავლის ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია ემბრიოლოგია, რომელიც პროგრამის ფარგლებში საერთოდ არ ისწავლება. მითითებულია აგრეთვე, რომ სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ან პარალელურ რეჟიმში უნდა სწავლობდეს პათანატომიას და პათფიზიოლოგიას. „თერაპიული სტომატოლოგია - 1“ ისწავლება მე-3 სემესტრში, „პათოლოგიური ანატომია“ - მე-4, ხოლო „პათოლოგიური ფიზიოლოგია“ - სილაბუსის მიხედვით - მე-4, პროგრამის მიხედვით კი - მე-5 სემესტრში. შესაბამისად, წინაპირობა ვერ დაკმაყოფილდება.

1.3.2 „ორთოდონტია 2“-ის სილაბუსი სასწავლო კურსის მიზნის შესახებ ინფორმაციას არ იძლევა, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[23]“ პუნქტს, რომლის თანახმად, სილაბუსი არის დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების შესახებ.

**1.4 საბაკალავრო პროგრამა ტელეკომუნიკაცია**

სასწავლო კურსების „უმაღლესი მათემატიკა - 1“ და „უმაღლესი მათემატიკა - 2“ სწავლის შედეგები ერთნაირია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნებზე თავიანთი პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, გოჩა თუთბერიძის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ ნამდვილად არის მითითებული, თუმცა, სილაბუსებსა და უწყისებში ჩანაწერი ისეთია, როგორიც უნდა იყოს. აღნიშნული ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა.

1.1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის საგნები, რომელთა სილაბუსებშიც მითითებულია შეფასების სხვადასხვა კომპონენტი, მათ შორის, რეფერატი, პრეზენტაცია და ა.შ. თუმცა ყველა საგნის სილაბუსებში შვიდივე კომპონენტის გათვალისწინება ვერ მოხდება. ამ შემთხვევაში პროგრამაში გაკეთებულ ჩანაწერში იგულისხმება ის, რომ პროფესორს შეუძლია, გაითვალისწინოს შეფასების შვიდივე კომპონენტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ ეს არ იყო ვალდებულება, მაშინ პროგრამაში უნდა ეწეროს, რომ პედაგოგი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში საგნის მიზნებიდან გამომდინარე იყენებს შეფასების ნებისმიერ კომპონენტს, მაგრამ პროგრამის ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულება ავალდებულებს პედაგოგებს შვიდივე კომპონენტის ყველა სილაბუსში სავალდებულოდ ასახვას. რადგან პროგრამამ თავადვე დაავალდებულა ყველა პედაგოგი, რომ თითოეული კომპონენტის გაეთვალისწინებინათ, სწორედ აღნიშნული ქმნის პრობლემას.

წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნა პროგრამაში არ უნდა ყოფილიყო. დაწესება პროგრამის მიზანი არ იყო. პროგრამების შემდგენლებმა იგულისხმეს, რომ აღნიშნული შვიდი კომპონენტი შეიძლება იყოს აქტივობაში გათვალისწინებული.

აკადემიური წერის სილაბუსთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნა სამართლიანია და ტექნიკური ხარვეზი იყო დაშვებული.

1.1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობა იყო დაშვებული „ფიზიკა და ბიოფიზიკის" სილაბუსის პირველ გვერდზე, სადაც წერია, რომ სილაბუსში 30 საკონტაქტო საათიდან 15 ეთმობა ლექციებს, 15 - პრაქტიკულ მუშაობას. რეალურად 20 საათი ეთმობა ლექციებს და 10 საათი გამოყოფილია პრაქტიკისათვის.

წარმომადგენლის თქმით, „ციტოლოგია, ჰისტოლოგიას" საგანმანათლებლო პროგრამაში წინაპირობა - „ადამიანის ნორმალური ანატომია" არ გააჩნია. აღნიშნული წინაპირობა სილაბუსში წერია მხოლოდ. პროგრამებში ზოგადად მითითებულია საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგნის გავლის წინაპირობა იწერება არა საგანმანათლებლო პროგრამაში, არამედ ამ საგნის სილაბუსში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსების გარდა პროგრამებშიც მიეთითება საგნების გავლის წინაპირობები. მომხსენებელმა დაადასტურა აღნიშნული.

თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს აღნიშნულის გადამოწმება. მომხსენებელმა დაადასტურა, რომ პროგრამაში „ადამიანის ნორმალური ანატომია" არ არის მითითებული „ციტოლოგია, ჰისტოლოგიის" წინაპირობად, თუმცა, დასძინა, რომ აღნიშნული წინაპირობა მითითებული იყო სილაბუსში.

1.1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებიან მას. სილაბუსების შინაარსები არ არის იდენტური, საგანი ერთია, უბრალოდ ორ სემესტრზეა განაწილებული.

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ შენიშვნა მდგომარეობდა სწავლის შედეგების იდენტურობაში.

1.1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში პროფესორის მიერ დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა. მითითებული უნდა ყოფილიყო არა სიტყვა „ფიზიოლოგია", არამედ „ანატომია".

თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდათ თუ არა სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე, რაც წარმომადგენელმა დაადასტურა. თავმდომარემ იკითხა, როგორ უნდა გაარკვიოს სტუდენტმა, რომელსაც სურს ამ საგნის არჩევა და რომელსაც „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია" არ აქვს გავლილი, რომ სილაბუსში ტექნიკური შეცდომაა და უნდა იყოს ადამიანის ნორმალური ანატომია, როდესაც ერთი სიტყვა ცვლის მნიშვნელობას, იგი ამ საგანზე ხომ ვერ გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას?

წარმომადგენლის თქმით, როდესაც სტუდენტები აკადემიურ რეგისტრაციას გაივლიან და პროფესორები ხარისხის მართვის სამსახურში წარმოადგენენ სილაბუსებს, მსგავსი ტექნიკური უზუსტობები აღმოფხვრილი იქნება ამ სამსახურის მიერ.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ავტორიზაციასთან დაკავშირებული წარმოება დაწესებულების ინიციატივით დაიწყო. მას მოლოდინი ჰქონდა, რომ ავტორიზაციის მაძიებელი განაცხადის წარმოდგენამდე ყველა მის საგანმანათლებლო პროგრამას სათანადოდ მოამზადებდა;

შესაბამისად, მისთვის გაუგებარია ხარვეზების მომავალში გასწორების თაობაზე მაძიებლის წარმომადგენლის განცხადება, მით უფრო, რომ შენიშვნების რაოდენობა საკმაოდ ბევრია.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზები ჰქონდა არა პროგრამებს, არამედ სილაბუსებს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სილაბუსები პროგრამის შემადგენელი ნაწილია და ერთ მთლიანობას ქმნის. მათზე პასუხისმგებელია როგორც სილაბუსის შემდგენელი, აგრეთვე ხარისხის მართვის სამსახურიც.

„ფიზიკური და კოლოიდური ქიმიიის" სილაბუსში მიზნის არარსებობასთან დაკავშირებით წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტთა შენიშვნას და აღნიშნა, რომ სილაბუსი იძლევა მიზნის შესახებ ინფორმაციას, თუმცა მიზანშეწონილია მიზნის უფრო მეტად კონკრეტიზაცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი იყო სილაბუსში მოცემული ფორმულირება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სილაბუსები სტანდარტული ფორმისაა და ფორმა ითვალისწინებს ერთ-ერთ გრაფას - სასწავლო კურსის მიზანი. „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის" სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნის გრაფა არ იძლევა ინფორმაციას მიზნის შესახებ, არამედ აღწერს სასწავლო კურსს.

მომხსენებელმა გამოაქვეყნა სილაბუსის აღნიშნული ნაწილი: „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო დისციპლინაა; იგი შეადგენს უმაღლესი ფარმაცევტული განათლების სისტემის ნაწილს და ფარმაცევტული ფაკულტეტის საბაზისო დისციპლინაა. სასწავლო პროგრამა მოიცავს საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარმაცევტული მეცნიერებისა და წარმოებისათვის. ავადმყოფობის პროფილაქტიკა და მკურნალობა, ეფექტური წამლების ინდუსტრია განუყოფელია ორგანინიზმის ცხოველქმედებისა და სამრეწველო პროცესების ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმების შესწავლისაგან. ფიზიკური და კოლოიდური ქიმია საფუძველია სპეციალური დისციპლინების: ფარმაცევტული ქიმიისა და ტოქსიკოლოგიის, სინთეზუსი სამკურნალო პრეპარატების ქიმიისა და ტექნოლოგიის და სხვ."

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ მიზანი, ცხადია, უფრო კონკრეტული, სტილისტურად გამართული და მკაფიო უნდა ყოფილიყო, ამ მონაკვეთში საგნის არსი იყო აღწერილი, თუმცა, ამას დიდ დარღვევად არ მიიჩნევდა.

თავმჯდომარის თქმით, საბჭოს წევრის აზრის გათვალისწინებით, აღნიშნული შენიშვნა მოიხსნა. თუმცა, მისი აზრით, ისევე როგორც საბჭოს წევრმაც აღნიშნა, მიზანში უნდა დაიწეროს არა სასწავლო დისციპლნის, დარგის და მეცნიერების აღწერა, არამედ ის მიზანი, რასაც სასწავლო კურსი ისახავს. არ შეიძლება, სახელმძღვანელოს პირველი თავი იყოს დაკოპირებული მიზანში. მიზანში უნდა იყოს განსაზღვრული, რას ისახავს მიზნად საგნის ლექტორი.

1.1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ორგანული ქიმია 1"-ის სწავლის შედეგებში ექვსივე კომპონენტი არ არის გამოყოფილი, იმის გამო, რომ ერთი გვერდი აკლია სილაბუსს, მე-6 კომპონენტი - ღირებულებები მეორე გვერდზე გადადიოდა და ამობეჭდვის დროს გაიპარა. ეს ტექნიკური ხარვეზია და ხარისხის სამსახურის ბრალია. თუმცა, ექსპერტების მიერ წამოღებული სილაბუსიდან ირკვევა, რომ გამორჩენილი არ არის, რადგანაც სწავლის შედეგების გრაფის შემდეგ გრძელდება „სწავლებისა და სწავლის მეთოდების" გრაფა.

1.2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართულ ენაში არსებობს „ებიანი" და „თანიანი" მრავლობითის ფორმები, აქ „თანიანი" ფორმით იყო კვალიფიკაცია განსაზღვრული „ებიანის" ნაცვლად. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორივე დაბოლოება ქართულ ენაში მრავლობითშია, შესაბამისად, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტების შენიშვნა.

1.2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსების შინაარსი სილაბუსებში აბსოლუტურად სხვადასხვაა.

ეკონომეტრიკის სილაბუსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიზანი ისეთი სახით არის გაწერილი, რომ, მისი აზრით, ეს ხარვეზად არ შეიძლება ჩაითვალოს. კერძოდ, მიზანი საგნის პროფესორს არჩეული აქვს ზოგად კონტექსტში. სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხები სხვადასხვაა.

1.3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნა გასაგებია, რადგანაც პროგრამიდან ნამდვილად არ ჩანს, რომ ემბრიოლოგია ისწავლება. თუმცა ემბრიოლოგია ნამდვილად ისწავლება „ციტოლოგია, ჰისტოლოგიის" შიგნით.

საბჭოს წევრებმა გაიანე სიმონიამ და დავით კახნიაშვილმა აღნიშნეს, რომ თუ ისწავლება საგანი ბიოლოგია, შინაარსობრივად ემბრიოლოგია მისი შემადგენელი ნაწილია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინაპირობა გულისხმობს იმას, რომ წინაპირობად დასახელებულ საგანში სტუდენტს კრედიტი უნდა ჰქონდეს მოპოვებული, რათა მეორე საგანი შეისწავლოს. წინაპირობად არ შეიძლება მითითებული იყოს რომელიმე საგნის ნაწილი.

გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ზოგადად ემბრიოლოგია ისწავლება ბიოლოგიასთან ან ციტოლოგია, ჰისტოლოგიასთან ერთად. ეს ისეთი შეცდომაა, როგორც, მაგალითად, წინაპირობად მითითებული იყოს არა ისტორია, არამედ ასწლიანი ომი. აღნიშნული შეცდომა სილაბუსის შემდგენლის ბრალითაა, რადგან უნდა მიუთითო საგანი, როგორც წინაპირობა და არა საგნის ნაწილი. თუმცა, საბჭოს წევრის აზრით, აღნიშნული უდავოდ ხარვეზია.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სილაბუსების პროგრამასთან შესაბამისობის შეფასების დროს მნიშვნელოვანია ამ საკითხის სტუდენტის პოზიციიდან განსჯა. სტუდენტისათვის გასაგები უნდა იყოს, რა შემთხვევაში შეუძლია მას, გაიაროს ესა თუ ის საგანი და რა წინაპირობები უნდა ჰქონდეს მას დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ სთხოვა წარმომადგენელს პათანატომიისა და პათფიზიოლოგიის წინაპირობებად მითითებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება.

საბჭოს წევრი იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, იყო თუ არა არჩევითობა უზრუნველყოფილი პროგრამით, როგორ ხდებოდა ამა თუ იმ საგნის სწავლების პერიოდის განსაზღვრა, ფიქსირებული იყო თუ არა თითოეული საგნის სწავლების დრო.

მომხსენებლის განმარტებით, სტომატოლოგიის პროგრამაში არჩევითობა არ არის უზრუნველყოფილი, შესაბამისად, ყველა საგანი სავალდებულოა და პროგრამაში ფიქსირებულია ყველა საგნის სწავლების სემესტრი.

საბჭოს წევრის რუსუდან ტყეშელაშვილის აზრით, არჩევითობის არარსებობა მნიშვნელოვანი საკითხია.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ თუ სტომატოლოგიის პროგრამა ინტეგრირებულია, მაშინ აღნიშნული საგნების ინტეგრირებულად სწავლება მოხდება და ხარვეზი არ იქნება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა პროგრამა ინტეგრირებული.

წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების სურვილია ინგეტრირებული რეჟიმით სწავლებაზე გადასვლა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავს ინტეგრირებული რეჟიმით სწავლებაზე გადასვლას, თუმცა ამ ეტაპზე ეს ასე არ არის.

1.3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეიძლება მიზნის მეტი დაკონკრეტება იყოს საჭირო. ექსპერტთა შენიშვნა საბჭომ არ გაიზიარა.

„უმაღლესი მათემატიკა - 1"-ისა და „უმაღლესი მათემატიკა - 2"-ის სილაბუსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გათვალისწინებული თემების შინაარსი განსხვავებულია, მაგრამ სწავლის შედეგები ზუსტად ერთნაირია.

**1.5 სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები**

1.5.1 სასწავლო კურსი „კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები" ისწავლება პირველ სემესტრში. წინაპირობად მითითებული აქვს „საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები", რომელიც აგრეთვე პირველ სემესტრში ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

სილაბუსში მითითებულია, რომ საკონტაქტო 45 სთ-დან 30 სთ ეთმობა ლექციას, ხოლო პრაქტიკულ მუშაობას - 15 სთ. სასწავლო კურსის შინაარსიდან დგინდება, რომ ლექციებს ეთმობა 19 სთ, ხოლო პრაქტიკულ მუშაობას - 26 სთ. საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობაში (45 სთ) არ არის გათვალისწინებული დასკვნითი გამოცდისათვის გამოყოფილი დრო.

1.5.2 სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის თანახმად, 750 სთ-დან 180 სთ არის საკონტაქტო საათები, მაგრამ მათი გაშლა მოცემული არ არის.

1.5.3 სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არის სოციალური მეცნიერების მაგისტრი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრული მიმართულება არის „სოციალური მეცნიერებები". აღნიშნულ შემთხვევაში განსხვავებაა მხოლობით და მრავლობით დროებს შორის.

თავმჯდომარის მოსაზრებით ეს შენიშვნა უნდა მოხსნილიყო. აღნიშნულს დაეთანხმა საბჭო.

**1.6 სამაგისტრო პროგრამა ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე**

1.6.1 „სადაზღვევო საქმე - 1"-ის სილაბუსის თანახმად, კურსი არის 5-კრედიტიანი, მაგრამ საათების გადანაწილება მოცემულია არა 125, არამედ 133 საათზე, კერძოდ, საკონტაქტო - 45, დამოუკიდებელი მუშაობის - 80, შუალედური შეფასებები - 4 და ფინალური გამოცდა - 4სთ. იგივე სურათია „საფინანსო სისტემა და რეგულირება - 1"-ისა და „საფინანსო სისტემა და რეგულირება - 2"-ის სილაბუსებში.

1.6.2 სასწავლო კურსების „ინვესტიციები - 1" და „ინვესტიციები - 2" მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია.

**1.7** სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები, ასევე მობილობის პროცედურასთან დაკავშირებული დებულებები. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია „მობილობის ფარგლებში გადმოსულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი".

შემუშავებული რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ", რომლის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ფინანსური დავალიანება არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების და არა შეწყვეტის საფუძველი. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ზედიზედ ორი სემესტრის განმავლობაში. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდას.

ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად, სწავლის საფასურის არასრულად გადახდის გამო 2010 წლის 15 თებერვალს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 4 სტუდენტს.

**1.8** ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს არჩევანს. მაგალითად, ასეთია ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს. ყველა მათგანის გავლა აუცილებელია, რათა სტუდენტმა მოაგროვოს 240 კრედიტი.

ანალოგიური ვითარებაა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.5.1 შენიშვნასთან დაკავშირებით გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში ასეთი უზუსტობა არ არის, თუმცა მან დაადასტურა, რომ შეცდომა დაშვებულია სილაბუსში. თავმჯდომარის თხოვნით მომხსენებელმა ადგილზე გადაამოწმა პროგრამა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სასწავლო კურსს „კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები", რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში, პროგრამაშიც და სილაბუსშიც წინაპირობად მითითებული აქვს იმავე სემესტრის საგანი - „საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები".

ამასთან, თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნითი გამოცდა საკონტაქტო საათია, შესაბამისად, იგი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საკონტაქტო საათებში.

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზი იყო.

1.5.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში საკონტაქტო საათებში დაწესებულება გულისხმობს კონსულტაციებს მეცნიერ-ხელმძღვანელთან. სტუდენტი მუშაობს აქტიურად თემაზე და ამავე დროს გადის რეგულარულ კონსუტალციებს ხელმძღვანელთან, რაც ცალკე გაწერილი არ არის. მისი აზრით, ამისი გაწერა არც არის მიზანშეწონილი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ იყო აგებული სამაგისტრო თემის სილაბუსი, ეწერა თუ არა მასში, რომ საკონტაქტო საათები გამოიყენება კონსულტაციისათვის.

მომხსენებლის განმარტებით, სილაბუსში მითითებულია, რომ 180 საათი შეადგენს საკონტაქტო საათებს, თუმცა მათი შინაარსობრივი დატვირთვა, თუ რა აქტივობებზე ნაწილდება ეს დრო, სილაბუსიდან არ ჩანს. სილაბუსში მითითებულია სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები, შეფასების სისტემა და სხვ.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ სილაბუსში უნდა იყოს მითითებული, რომ საკონტაქტო საათები განსაზღვრულია ხელმძღვანელთან კონსულტაციისათვის.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური გამოცდის 4 საათი შედის საკონტაქტო საათებში და ტარდება პრაქტიკულების ხარჯზე. 133-ს რომ გამოაკლო 4 საათი შუალედური და 4 საათი საბოლოო გამოცდა, მაშინ გამოდის 125 საათი. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სილაბუსში შუალედური გამოცდების 4 სთ მოცემული იყო თემატურ გაშლასთან ერთად, თუმცა საბოლოო გამოცდის 4 სთ არ შედიოდა თემატურ გაშლაში.

თავმჯდომარის თქმით, სილაბუსში მოცემული გადანაწილება არასწორი იყო და შუალედური და დასკვნითი გამოცდების 8 სთ უნდა ყოფილიყო საკონტაქტო 45 საათის შემადგენელ ნაწილად ასახული და არა ცალკე, როგორც ეს სილაბუსის პირველ გვერდზეა მოცემული.

დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსმა, თემურ წურწუმიამ 1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი მიღებული იქნა რექტორის ბრძანებით, 2011 წლის აპრილში. 12 აგვისტოს მასში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოხსენებითი ბარათი. თემურ წურწუმიამ აღნიშნული ცვლილების შესახებ ბრძანება წარუდგინა საბჭოს.

დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, ეს დოკუმენტი ექსპერტებს არ მოუთხოვიათ, ამიტომაც არ მოხდა მათი წარდგენა ექსპერტებისათვის.

თავმჯდომარემ მიმართა თემურ წურწუმიას, ნიშნავდა ეს თუ არ იმას, რომ დაწესებულებას აპილიდან 12 აგვისტომდე მინისტრის ბრძანების საწინააღმდეგო წესი ჰქონდა. წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ამ პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეს დოკუმენტი გამოყენებული ყოფილიყო დაწესებულის მიერ. პირველ რიგში დაწესებულება ხელმძღვანელობდა ნორმატიული აქტით, რომელსაც უპირატესი ძალა აქვს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, 2011 წლის აპრილამდე თუ მოხდა სტუდენტებისათვის სტატუსის შეწყვეტა ფინანსური დავალიანების გამო. მომხსენებელმა საბჭოს განუმარტა, რომ ცენტრმა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში გადაამოწმა ეს საკითხი. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" ძალაში შევიდა 2010 წლის 6 თებერვალს, ხოლო 15 თებერვალს მოხდა 4 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფინანსური დავალიანების გამო. ესენი არიან - მარიამ ღონღაძე, ხატია შავაძე, ქრისტინე ცუცხაშვილი, ნათია ლაფანაშვილი.

თავმჯდომარემ დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსთან ერთად ადგილზე გადაამოწმა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული ინფორმაცია ზემოაღნიშნული პირების შესახებ, რის შედეგადაც მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდა.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, რეესტრში მონაცემების შეტანის დროს თანამშრომელმა დაუშვა შეცდომა. პირად მონაცემებში ასეთი რამ არ ფიქსირდება. ექსპერტებს ამ სტუდენტების პირადი საქმეები არ მოუთხოვიათ. რომ მოეთხოვათ, დაწესებულება წარადგენდა ამ პირად საქმეებს და გაირკვეოდა, რომ სტატუსის შეწყვეტის ბრძანებები ამ საფუძვლით არ არსებობს. სხდომაზე კი ამის დადგენა შეუძლებელია.

თავმჯდომარე არ დაეთანხმა დაწესებულების ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ ექსპერტს შეუძლია, თავისი დასკვნის საფუძვლად აიღოს არა პირად საქმეში მოცემული ინფორმაცია, არამედ დაწესებულების თანამშრომლის მიერ სტუდენტთა რეესტრში ასახული მონაცემები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლის მიერ დაშვებული შეცდომის გამო აღნიშნული მონაცემის ხარვეზად მიჩნევა არ არის სწორი. რეალურად ამ პირებისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დავალიანების გამო არ მომხდარა.

თემურ წურწუმიას თქმით, დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, საქმის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით საკუთარი პოზიციის დაფიქსიროს და, შესაბამისად, მოითხოვა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად, რაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის ამოსავალი წერტილია. საბჭო ეცნობა ექსპერტთა დასკვნას, მაგრამ შეზღუდული არ არის დასკვნაში მოცემული შეფასებებით, მას შეუძლია, გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ექსპერტთა აზრი.

რაც შეეხება ინფორმაციას სტუდენტის სტატუსი შეწყვეტასთან და მის საფუძვლებთან დაკავშირებით, საბჭო განმარტავს, რომ ის ეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებს, ვინაიდან რეესტრში შეტანილი მონაცემების უტყუარობის პრეზუმფციას ადგენს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი. კერძოდ, კანონის 28-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასა და რეესტრში რეგისტრირებულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება რეესტრის მონაცემები.

პროგრამაში გათვალისწინებულ არჩევითობის არარსებობის საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამედიცინო მიმართულების პროგრამებზე ვერ იქნება არჩევითობა. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამაში, არჩევანის შესაძლებლობა ვერ იქნება. ფორმალურად შესაძლებელი იყო, ერთი ან რამდენიმე არჩევითი საგნის დამატება, მაგრამ ეს რეალურად არჩევითობას არ უზრუნველყოფდა.

თავმჯდომარე არ დაეთანხმა წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ რაც უფრო მეტი არჩევითი საგნებია უნივერსიტეტში, მით უკეთესია სტუდენტისათვის, რომელიც სავალდებულო კომპონენტებთან ერთად აირჩევს სხვა, არასავალდებულო საგნებსაც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არჩევითობის პრინციპი დაცულია ყველა პროგრამაში, გარდა სამედიცინო მიმართულების პროგრამებისა. საბჭო განმარტავს, რომ არჩევითობა არ არის უზრუნველყოფილი არამარტო ფარმაციის საბაკალავრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

დაწესებულებას შენობები აქვს სამ მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. N38-38ᵃ, რუსთავის გზატკეცილი N18-22 და ჯიქიას ქ. N10. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა შემდეგი მონაცემები: ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, დაწესებულების მფლობელობაშია ჯამში 7963,53 კვ. მ. საერთო ფართი, ხოლო რეესტრის მონაცემების მიხედვით - 5304,51.

სხვაობა რეესტრისა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: საბურთალოს ქ. N38-ისა და რუსთავის გზატკეცილი N18-22(034)-ის შემთხვევაში - რეესტრში მოძველებული ინფორმაციის არსებობით და მტკიცდება ფაქტობრივი მდგომარეობითა და აზომვითი ნახაზების მეშვეობით. რუსთავის გზატკეცილი 18-22 (029)-ის შემთხვევაში - იმით, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე განხორციელდა არსებული 3-სართულიანი შენობის მიშენება და დაშენება, რაც ვიზიტის პერიოდისათვის არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სამივე მისამართზე სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება 2439,86 კვ. მ. ფართი, ხოლო დამხმარე მიზნებისათვის - 1769,22 კვ. მ.

დაწესელების ხელმძღვანელის განმარტებით, ფართის დაყოფას სასწავლო და დამხმარე ფართად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მნიშვნელობა არ აქვს. აღნიშნულს დაეთანხმა იოსებ სალუქვაძე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, იოსებ სალუქვაძემ, აღნიშნა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საბჭო ყველა შემთხვევაში მხედველობაში იღებს საჯარო რეესტრის მონაცემებს. აღნიშნული მნიშვნელოვანია სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისათვის. როგორც კი მოხდება დამატებითი ფართების რეესტრში ასახვა, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მომართოს ცენტრს განაცხადით სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ.

თავმჯდომარე დაეთანხმა ამ პოზიციას.

**3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

3.1 სრული პროფესორი ქვლივიძე ცინული იმავდროულად დაფიქსირებულია სრულ პროფესორად შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში და შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში; ასოცირებული პროფესორი კაპანაძე მაია იმავდროულად ფიქსირდება, როგორც ასოცირებული პროფესორი შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, შპს - საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო უნივერსიტეტში, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში; ასოცირებული პროფესორი დოლიძე მაკა იმავდროულად ფიქსირდება, როგორც ასოცირებული პროფესორი შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში და შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში; ასოცირებული პროფესორი ზერაკიძე ზურაბი იმავდროულად ფიქსირდება, როგორც სრული პროფესორი სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტში და ასოცირებული პროფესორი შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში.

3.1. შენიშვნასთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილია პროფესორის ხელმოწერილი დოკუმენტი, ე.ი. მან არჩევანი გააკეთა ავტორიზაციის მაძიებლის სასარგებლოდ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრობლემური არის მხოლოდ ის, რომ ასოცირების დადასტურებას თარიღი არ აწერია, ამიტომ ბოლოს გაკეთებული არჩევანი რომელია, ამის დადგენა შეუძლებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასახელებული ოთხი პირი ბოლო კონკურსის შედეგად იყო არჩეული აკადემიურ თანამდებობებზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ ოთხი პირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თუ შეექმნებოდა დაწესებულებას პრობლემა ადამიანური რესურსის რაოდენობასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასახელებული ოთხი პირიც რომ არ ჩაითვალოს დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობაში, დაწესებულებას მაინც არ ექნება პრობლემა ადამიანურ რესურსის რაოდენობასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ შენიშვნას ავტორიზაციის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

3.2 სტუდენტთა პირადი საქმეების გადამოწმების მიზნით ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით მოთხოვნილი იქნა 24 პირადი საქმე. მათგან დაწესებულებამ წარმოადგინა 14 პირადი საქმე. 10 პირის - გაბრიელ ჭიბალაშვილის, ქეთევან ბუსკივაძის, შოთა მაისურაძის, ხათუნა ახალკაციშვილის, ირაკლი კობიაშვილის, ოთარი კობიაშვილის, რუსუდან გოგრიჭიანის, ზურაბ ქურციკიძის, ანა ბუცხრიკიძისა და ლანა სვანიძის პირადი საქმეების წარმოდგენაზე დაწესებულების ხელმძღვანელმა უარი განაცხადა, რადგანაც, მისი თქმით, აღნიშნულ სტუდენტებს დიდი ხნის წინ შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი.

ცენტრმა 2011 წლის 19 სექტემბრის N04-10483 წერილით დაწესებულებიდან გამოითხოვა აღნიშნული პირების პირადი საქმეები. დაწესებულებამ 2011 წლის 26 სექტემბერს წარმოადგინა აღნიშნული პირადი საქმეები, რომელთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. ლანა სვანიძე 2004 წლის 20 სექტემბერს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში პირველ კურსზე (ბრძანება №7). 2005 წლის 9 მარტს ამოირიცხა აღნიშნული უნივერსიტეტიდან (ბრძანება №20) და 10 მარტს ჩაირიცხა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში პირველ კურსზე (ბრძანება №102).

აღნიშნულით დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მობილობა დაშვებული იყო მხოლოდ სწავლების მეორე წლიდან (სტუდენტს უფლება აქვს „საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა").

2007 წლის 11 სექტემბერს ლანა სვანიძე ამოღებულ იქნა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა სიიდან, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამო (ბრძანება №3/81).

2. ქეთევან ბუსკივაძე 2004 წელს ჩაირიცხა ქუთაისის მრავალპროფილიან ინსტიტუტში ფარმაციის სპეციალობის მეორე კურსზე (ბრძანება №24, 14/09/2004). აღნიშნული სასწავლებლიდან სტუდენტი ამოირიცხა 2005 წლის პირველი მარტის №40 ბრძანების საფუძველზე, სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით.

2005 წლის პირველი მარტის №89 ბრძანების საფუძველზე, ქეთევან ბუსკივაძე ჩაირიცხა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ფარმაციის სპეციალობის მე-2 კურსზე დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე.

აღნიშნულით დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მობილობა დაშვებული იყო მხოლოდ სწავლების მეორე წლიდან (სტუდენტს უფლება აქვს „საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე

წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა“).

3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით თავმჯდომარე დაინტერესდა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 2005 წლის დასაწყისში მოქმედი რედაქციის მუხლთან შეუსაბამობა თუ დასტურდებოდა.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნული დაადასტურა.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირება. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, აღნიშნული შენიშვნა დაწესებულებისათვის ცნობილი გახდა საბჭოს სხდომაზე. იგი არ იყო ასახული ექსპერტთა დასკვნაში. იმ დროისთვის იყო დაუსწრებელი სწავლება და სტუდენტის გადაყვანა ნებისმიერ კურსზე დაშვებული იყო. დაწესებულების იურისტმაც დაადასტურა, რომ სტუდენტების ჩარიცხვა მოხდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა საბუთებზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული ორი სტუდენტის საქმის შესწავლა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა აღნიშნული გარემოებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2005 წლის შემდეგ დაწესებულებამ ორჯერ გაიარა აკრედიტაცია და აღნიშნული შენიშვნა მაშინ არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის გაიარა დაწესებულებამ ბოლო აკრედიტაცია.

რევაზ ხოფერიას განცხადებით, დაწესებულებამ ინსტიტუციური აკრედიტაცია გაიარა 2006 წელს.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მან ავტორიზაციის ექსპერტებს სწორედ აღნიშნული გარემოების გამო არ წარუდგინა სტუდენტთა პირადი საქმეები. აღნიშნული საქმე გამოკვლეული იყო პროკურატურის მიერ და მადლობის მეტი არაფერი უთქვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ის არ აპირებს 2006 წლამდე (ანუ ავტორიზაციის ტოლფასი სტატუსის ბოლოს მიღებამდე) არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას, ვინაიდან მიაჩნია, რომ ავტორიზაციის ტოლფასი სტატუსის 2006 წელს მიღების შემდგომ, მაძიებლისათვის 2011 წელს ახალი ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად ვერ დაედებოდა 2006 წლამდე არსებული ფაქტობრივი გარემოებები, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

22:36 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

22:59 საათზე სხდომა განახლდა.

კენჭისყრის დაწყებამდე დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსმა თემურ წურწუმიამ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხის განხილვის გადადების შუამდგომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 21-ე და 22-ე მუხლებზე მითითებით, ყველა მტკიცებულების სრულად გამოკვლევის მიზნით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 22-ე მუხლი განსაზღვრავს ზეპირი მოსმენის ჩატარების ვალდებულებას, რა დროსაც ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რაც საბჭომ მიიღო და საქმეს დაურთო, მაგალითად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის ცვლილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტთა რეესტრში დაფიქსირებული მონაცემების ადგილზე გადამოწმება მოხდა. შესაბამისად, საბჭომ ყოველმხრივ გამოიკვლია საქმე ზეპირ მოსმენაზე. მრავალ საკითხში საბჭო არ დაეთანხმა ექსპერტების შენიშვნებს. მეტიც, საბჭომ დაადგინა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან დაკავშირებით დარღვევები არ ფიქსირდება.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ვინაიდან სტუდენტთა მობილობასთან დაკავშირებული, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებები ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2005 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებს, ავტორიზაციის საბჭო, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ შეაფასებს სხდომაზე წარმოდგენილ მასალებს.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნების სიმძიმესთან დაკავშირებით კი საბჭოს წევრთა შორის, როგორც სხდომაზე გაირკვა, აზრთა სხვადასხვაობაა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, დარღვევები არის. მნიშვნელოვანია შენიშვნა ოთხი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებითაც.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში დაწესებულება წარმოადგენდა მტკიცებულებებს, რომ ამ სტუდენტებისათვის სტატუსის შეწყვეტა ფინანსური დავალიანების გამო არ მომხდარა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისევე როგორც მატერიალურ რესურსის შემთხვევაში საბჭო ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს, ასევე ეყრდნობა საბჭო საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში თავად დაწესებულების თანამშრომლის მიერ შეტანილ მონაცემებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლის მიერ დაშვებული შეცდომის გამო აღნიშნული მონაცემის ხარვეზად მიჩნევა არ არის სწორი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ აღნიშნული საკითხი არ არის პრობლემური. კერძოდ, საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დაახლოებით 1 ათეულ შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარვეზები მართლაც არსებობდა და ზოგის გასწორება მოგვიანებით მოხდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ხარვეზი გასწორებულია, მაგრამ შეცდომები იყო ტექნიკური ხასიათის.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეს, რომ საკითხის გადადების შუამდგომლობის განხილვის დასაბუთებული გარემოებები არ არსებობს, რის გამოც საკითხი კენჭისყრაზე არ დამდგარა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, $56^4$-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

### 3. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა რევაზ ხოფერიამ. მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია. ამასთან, ცენტრის მიერ გადამოწმდა ექსპერტთა დასკვნა, შესწავლილ იქნა დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი და გარკვეული კითხვები გაჩნდა პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

1. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

დაწესებულება ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს აკადემიური თანამდებობის მქონე 12 პირის მეშვეობით. ავტორიზაციის ჯგუფისათვის წარდგენილი დოკუმენტის შესაბამისად, 12 პროფესორიდან 5 არის ეკონომიკის დოქტორი, ერთი - გეოგრაფიის დოქტორი, ერთი - ტექნიკის დოქტორი, ერთი - ფილოლოგიის დოქტორი, ერთი - ისტორიის დოქტორი, ერთი - ფილოსოფიის დოქტორი, ერთი - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, ერთი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი აგრარული ეკონომიკის სპეციალობით. შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია დაწესებულებას არ ჰყავს ბიზნესის ადმინიტრირების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.

რევაზ ხოფერიას განცხადებით, ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული დგინდება რამდენიმე მეთოდით - კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, პუბლიკაციები.

რევაზ ხოფერიამ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილებასთან და სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული მონაცემები და განმარტა, რომ შესაძლებელია, საჭირო იყოს საკითხის დამატებით შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მართალია პროგრამის ხელმძღვანელი 70 წლისაა, თუმცა ამ დარგში მისი მოღვაწეობა ხანგრძლივია. იგი არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. პროგრამის ხელმძღვანელი დიდი ხნის განმნავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა სახის პროექტებს, უმაღლეს სასწავლებელებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. იგი წლების განმავლობაში კითხულობდა სასწავლო კურსებს მარკეტინგის მიმართულებით. მას ტრენინგები აქვს გავლილი უცხო ქვეყნებში. ამდენად, მისი კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება არ არის მიზანშეწონილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს აღნიშნულის თაობაზე დაეფიქსირებინა თავისი აზრი. ექსპერტის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით ექსპერტთა მიერ არ დადგენილა კვალიფიკაციის შეუსაბამობის ფაქტი.

საბჭოს წევრი ლალი ღოღელიანი დაინტერესდა სხვა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციითაც. მან აღნიშნა, რომ საქართველოში ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საკმაოდ რთულია, ვინაიდან ქვეყანაში ამ ეტაპზე არ არსებობს საკმარისი რაოდენობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები.

ნანა ჭიღლაძის განმარტებით, ცენტრის ინტერესია, რომ პროგრამას ახორციელებდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ცენტრი არ აყენებს ეჭქვეშ პერსონალის კვალიფიკაციას ეკონომიკის სფეროში, თუმცა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, ეკონომიკა მიეკუთვნება სოციალური მეცნიერებებს და არა ბიზნესის ადმინისტრირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა საკითხის განხილვა გადადებულიყო იმ მიზნით, რომ ცენტრს მისცემოდა შესაძლებლობა, მის მიერ შერჩეული მეთოდოლოგიის შესაბამისად, გადაემოწმებინა ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან.

ნანა ჭიღლაძის განცხადებით, პერსონალის კვალიფიკაციის შემოწმებისას საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმებაც გახდებოდა საჭირო. ამდენად, ცენტრი, შემოწმების დროს, არ უნდა ყოფილიყო შეზღუდულიყო მხოლოდ ადამიანური რესურსის სტანდარტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებისა და საკითხის დამატებითი გამოკვლევის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
1. გადადებულ იქნეს შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ეთხოვოს ცენტრს საკითხის დამატებით გამოკვლევა და საბჭოსთვის პოზიციის წარდგენა.

**4. შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს ცენტრის თანამშრომლებმა რევაზ ხოფერიამ და თამარ შუდრამ, რომლებმაც ისაუბრეს დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში „უცხო ენა (ინგლისური) 1“ „ლექციის“ გრაფში დაფიქსირებულია 28 საათი, „პრაქტიკული ჯგუფური მუშაობის“ გრაფაში - 30 საათი. თუმცა, სილაბუსში მოცემულია „სალექციო საათი - 29 საათი, პრაქტიკული მუშაობა - 29 საათი“.

ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ინგლისური ენა 2“, „ინგლისური ენა 3“, „“საქართველოს ისტორიის“ სილაბუსებში.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში „საოფისე კომპიუტერული უნარ-ჩვევების“ საათებად გაშლა არ შეესაბამება სილაბუსში მოცემული საათების გადანაწილებას (სილაბუსში მოცემულია ლექცია - 16 საათი, პრაქტიკული მუშაობა - 42 საათი, ხოლო გეგმის მიხედვით - ლექცია 15 საათი, ხოლო პრაქტიკული მუშაობა - 30 საათი), ამას გარდა საკონტაქტო საათების გრაფაში მოცემულია 62 საათი, ხოლო იგივე ცხრილის მიხედვით საკონტაქტო საათების ჯამი (ანუ ლექცია, პრაქტიკული/ჯგუფური მუშაობა, შუალედური შეფასება და ფინალური გამოცდა) ნაცვლად 62-ისა უდრის 47-ს.

ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ სასწავლო კურსის მიმართ.

1.3 სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო კურსის „ღონისძიებათა მენეჯმენტის“ საათების რაოდენობა მოცემულია „ლექცია 28 საათი, შუალედური შეფასება - 3 საათი“, ხოლო სილაბუსის მიხედვით მოცემულია „ლექცია 24 საათი, შუალედური შეფასება - 3 საათი“.

ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ტურიზმის დაგეგმვისა და საკანონმდებლო ბაზის“, „ტურიზმის რეკლამის“ სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შენიშვნებს და განაცხადა, რომ მხოლოდ რამდენიმე სილაბუსშია გაპარული შეცდომა.

თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა დაწესებულების თანამშრომელს, მარინე მეტრეველს, ეთანხმებოდა თუ არა იმ გარემოებას, რომ სილაბუსებში არსებობდა ხარვეზები, თუმცა შეცდომა იყო საათების განაწილებაში და არა საათების ჯამში. დაწესებულების თანამშრომელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მართლაც არსებობდა ხარვეზი, თუმცა, ეს ხარვეზები მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო. ამასთან, დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზები და წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტი შედის შეცდომაში.

საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს არ მიაჩნდათ ძველი მერხებისა თუ სკამების არსებობის ფაქტი სტანდარტთან წინააღმდეგობად.

დაწესებულების თანამშრომელმა, მარინე მეტრეველმა განაცხადა, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ტურიზმის განათლების სისტემას. მან შექმნა სახელმძღვანელოები. მისი წიგნები გამოიცემა აშშ-ში, ლონდონში და სხვა ქვეყნებში. მისი სურვილია, რომ საბჭომ გაითვალისწინოს ის რესურსი, რაც მას აქვს. ეს უფრო მეტია, ვიდრე წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახული რამდენიმე გაფუჭებული მერხი. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი სურვილია ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსის შექმნა უცხოელ კოლეგებთან ერთად.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ობიექტურად აშკარაა, რომ ფოტოებზე წარმოდგენილ გარემოში ტურიზმი ვერ აშენდება, თუმცა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ მატერიალურ რესურსთან (მაგ.: მერხების დიზაინთან, კედლების ფერთან, განათებასთან) მიმართებით სტანდარტი არ არის დარღვეული. ავტორიზაციის მინიჭების მიზნებისათვის მატერიალურ რესურსთან, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება პროგრამულ ნაწილს, საბჭოს წევრების უმრავლესობის აზრით, 1.1 შენიშვნა შეიძლება ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვალოს, მაგრამ რაც შეეხება 1.2 და 1.3 შენიშვნებს, საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით, ეს შენიშვნები მიანიშნებს, რომ პროგრამა ზოგადად ხარვეზიანია. ის, რომ ხარვეზები გამოსწორებულ იქნა, ადასტურებს იმას, რომ ხარვეზები არსებობდა. რამდენად არსებითია ეს ხარვეზები, ამას კენჭისყრის შედეგები დაადგენს.

23:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა.
23:30 საათზე განახლდა სხდომა.

თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 2
წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიას უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე.

საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა 28 სექტემბერს სხდომის გაგრძელების საკითხი.

**5. შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან, თუმცა ხელშეკრულებების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ ისინი ადგენენ ურთიერთვალდებულებებს კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის კოლეჯის მილევადი რეჟიმის აკადემიური საფეხურის სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით, იგეგმება ხელშეკრულებების განახლება, სადაც გათვალისწინებული იქნება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ურთიერთვალდებულება პროფესიული სტუდენტებისათვის.

1.2 სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის (ერთი დასახელების პროგრამის ფარგლებში) სილაბუსებში ასახული მიზნები, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია, ამიტომ, ვერ ირკვევა თუ როგორ ხდება სტუდენტის ცოდნის განვითარება საფეხურების მიხედვით. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც ,,კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით“. მაგალითისათვის: III, IV, V საფეხურების „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები - „ინგლისური ენა“; II, III, IV საფეხურების „სავალი ნაწილის ტექნიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები - „ავტომობილების მოწყობილობა“; III, IV, V საფეხურის "სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის“ საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები - „ლოჯისტიკის საფუძვლები“.

1.3 ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის კურსს. აღსანიშნავია, რომ არ არის წარმოდგენილი პრაქტიკის სილაბუსები.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. ნორმები გაწერილია მხოლოდ მილევად რეჟიმში არსებული აკადემიური საფეხურისათვის.

1.5 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 კოლეჯის ვებგვერდია www.sssk.edu.ge. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება.

2.2 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2010-2015). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგეგმება კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

2.3 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, შეძენილია საჭირო რაოდენობის პირველადი დახმარების მედიკამენტები. შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი დაწესებულებას არ ჰყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით, შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ მოასწრო პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან ხელშეკრულების განახლება, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება უახლოეს მომავალში გეგმავს ხელშეკრულებების განახლებას, სადაც გათვალისწინებული იქნება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ურთიერთვალდებულება პროფესიული სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამებთან და მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დაფიქსირებულ სხვა შენიშვნებზე კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა ხარვეზი გამოასწორა. კერძოდ, მისი განმარტებით, დაწესებულებამ შეიმუშავა კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, და ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები; გამოასწორა სილაბუსებში დაშვებული შეცდომები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა გახდა საავტორიზაციო განაცხადის შემოტანის საფუძველი, ისეთ ვითარებაში, როცა ავტორიცაზიის მაძიებელს თვითონვე მიაჩნდა, რომ დაწესებულება სრულყოფილად არ იყო მომზადებული ექსპერტთა ვიზიტისთვის.

მხარის განმარტებით, კანონმდებლობით კონკრეტულად იყო განსაზღვრული ვადა, რა პერიოდშიც დაწესებულება ვალდებული იყო შეეტანა საავტორიზაციო განაცხადი. შესაბამისად, მათი განცხადებით, სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა საავტორიზაციო განახადის ნაჩქარევად შეტანის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა კოლეჯში.

წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ 42 პროფესიული სტუდენტი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა, რომლის განცხადებით, საავტომობილო-საგზაო მიმართულება მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მისივე განცხადებით, რადგან დაწესებულებას უკვე გამოსწორებული ჰქონდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები, საბჭოს შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და ჩაეთვალა, რომ კოლეჯი შეძლებდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

ლალი ღოღელიანის პოზიცია გაიზიარა საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მხრიდან ხარვეზების აღმოფხვრა განხორციელდა ექსპერტთა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ, ამასთან ხარვეზები იყო საკმაოდ არსებითი, საბჭოს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა დაწესებულების პოზიცია

და მხედველობაში მიეღო ვიზიტის შემდეგ გასწორებული დოკუმენტები. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის, როგორც წინა საკითხის განხილვისას, მხარს ვერ დაუჭერს ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 120 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 120 პროფესიული სტუდენტის მიღება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

**6. სპს - „ლომისი I თამარ ბარძიმაშვილის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა სპს - ,,ლომისი I თამარ ბარძიმაშვილის“ წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მან საბჭოს მოახსენა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დაწესებულება, იჯარის ხელშეკრულებით, ქ. თბილისში, გლდანის მე-4 მ/რ-ში ფლობს 1124.45 კვ. მ. ფართს. სკოლის ზემოაღნიშნული ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. დაწესებულების საკუთრებაშია ინტერნეტში ჩართული 14 კომპიუტერი. სკოლაში მუშაობს 36 მასწავლებელი, რომელთაგან 5 სერტიფიცირებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 290-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 280 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ,,ლომისი I თამარ ბარძიმაშვილისათვის" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სპს - „ლომისი I თამარ ბარძიმაშვილს“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

7. შპს - „თბილისის მწვანე სკოლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად, მატერიალური რესურსი საკლასო ოთახებში ჯერ არ იყო განთავსებული. რადგან დაწესებულებამ შეისყიდა სსიპ - 134-ე საჯარო სკოლა, შპს - „თბილისის მწვანე სკოლის“ დირექტორის განმარტებით, იგეგმება ლიკვიდირებული საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ქონების გადმოცემა. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რესურს-ცენტრისადმი მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს აღნიშნული ქონების გადაცემას. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის მატერიალურ რესურსს დაემატება საჯარო სკოლის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2010 წლის 6 დეკემბერს აღწერილი ქონება.

1.2 სკოლის ვებგვერდი www.greenschool.ge დამზადების პროცესშია, კერძოდ, დამზადებულია ძირითადი დიზაინი და გრაფიკა. მომხსენებელმა განმარტა, რომ შპს - ,,თბილისის მწვანე სკოლის" ვებგვერდი ცენტრის მიერ იქნა გადამოწმებული და იგი ასრულებდა საკომუნიკაციო-საინფორმაცო ფუნქციებს.

1.3 საჯარო სკოლის ქონების დაწესებულებისათვის გადმოცემის შემთხვევაში, სკოლას ექნება 5 ეცხლმაქრი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია. შპს - ,,თბილისის მწვანე სკოლის" დირექტორმა კახა დავითურმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2011 წლის 24 სექტემბერს შპს - ,,ორიონ ტექნოლოჯისთან" დამატებით 20 კომპიუტერის შესყიდვის თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 1200 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 1200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „თბილისის მწვანე სკოლის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „თბილისის მწვანე სკოლას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.

**8. შპს - „ცოდნის“ (229722324) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

1.1 სკოლას აქვს ფიზიკისა და მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომელთა შევსებაც 2011–2012 სასწავლო წლისათვის იგეგმება. არსებული ლაბორატორიები არ შეესაბამება ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიები არასრულია და იგეგმება მათი შევსება.

1.2 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. შესაბამისი გარემოს შექმნა იგეგმება სკოლის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

1.3 სკოლას არ აქვს დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პანდუსების არარსებობა შეიძლება გახდეს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. იგი დაინტერესდა, რაიმე ქმედება თუ განხორციელდა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგეგმება პანდუსების დამონტაჟება და შეძენილია გარკვეული მასალა პანდუსების დასამზადებლად, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაცია არ გააჩნიათ. რაც შეეხება უსაფრთხოების კამერებს, სკოლას ისინი არ გააჩნია და მომავალში შეიძენენ.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად შენიშვნებისა, რადგან რეგიონის სკოლაა, ის მომხრეა, სკოლას მიენიჭოს ავტორიზაცია. აღნიშნულს დაეთანხმა საბჭოს წევრი ლალი ღოღელიანი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 100 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების

პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 100 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ცოდნის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ცოდნას“ (ს/კ: 229722324) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

**9. შპს - რეცას ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

1.1 ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ. N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 6688 კვ. მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა ირიცხებოდა თვითმმართველი ქ. რუსთავის ქონების მართვის საკუთრებაში. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 9 სექტემბრის №21 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, 2011 წლის 30 აგვისტოს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ მოწყობილ №17 აუქციონზე ლოტი N1-ით განსაზღვრულ ქონებაზე (ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ. N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 6688 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს - რეცა, რომელსაც საკუთრებაში გადაეცა აღნიშნული ქონება. დაწესებულებამ საპრივატიზაციო ქონების მთლიანი საფასური გადაიხადა ვიზიტის პერიოდში, რის გამოც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვერ მოესწრო საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარმოდგენა.

1.2 დაწესებულებაში არსებული სპორტული დარბაზი საჭიროებს სპორტული ინვენტარით აღჭურვას და კეთილმოწყობას. სკოლის შემდგომი განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სპორტული მოედნის მოწყობა.

1.3 ადგილზე დათვალიერებისას გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან ბიბლიოთეკაში არ იყო შემდეგი კლასების სახელმძღვანელოები: I კლასი - 2 სახელმძღვანელო, II – 2 სახელმძღვანელო, III – 4 სახელმძღვანელო, IV – 2 სახელმძღვანელო, V – 4 სახელმძღვანელო, VI - 3 სახელმძღვანელო, VII – 3 სახელმძღვანელო, VIII – 2 სახელმძღვანელო, IX – 3 სახელმძღვანელო, X – 5 სახელმძღვანელო, XI – 4 სახელმძღვანელო, XII – 4 სახელმძღვანელო. შპს - რეცას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „ბიბლომანთან" სასკოლო წიგნების მოწოდების შესახებ.

1.4 ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ქსელის სისტემის დამონტაჟება, რის გამოც ვერ მოხერხდა რამდენიმე კომპიუტერის ინტერნეტში ჩართვის შემოწმება.

1.5 სამედიცინო დახმარებისათვის განკუთვნილ ოთახში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სკოლამ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა შეძენილი ქონება და

შესაბამისად, ხარვეზის საფუძველიც აღარ არსებობდა. მხარემ სხდომაზე წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დოკუმენტის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურედებოდა შპს - რეცას საკუთრების უფლება ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ. N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა (ფართით - 6688 კვ. მ.) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პრობლემას წარმოადგენდა ბიბლიოთეკაში გრიფირებული სახელმძღვანელოების არარსებობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მხარემ განაცხადა, რომ მას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს -„ბიბლომანთან" სასკოლო წიგნების მოწოდების შესახებ.

მომხსენებელმა დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაშიც ფიქსირდებოდა აღნიშნული გარემოება.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, შეეძლო თუ არა დაწესებულების პოზიციის მტკიცებულებით გამყარება.

მხარემ წიგნების შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება სხდომაზე ვერ წარმოადგინა.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს და სთხოვა, დაეზუსტებინა, დაწესებულებას ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა თუ არა წიგნის საფასური გადახდილი. რაზეც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება წიგნების შესყიდვის თაობაზე, თუმცა წიგნების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებას ექსპერტთათვის არ წარუდგენია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დავით კახნიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ რადგან სკოლას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება წიგების შესყიდვის თაობაზე, ივარაუდებოდა, რომ იგი ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებდა და ხარვეზის საფუძველიც არ იარსებებდა. შესაბამისად, მისი აზრით, საბჭოს შეეძლო ამ გარემოების გათვალისწინება და დაწესებულების პოზიციის გაზიარება.

აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა საბჭოს თავმჯდომარემ, რომლის განმარტებით, რადგან დაწესებულებამ სხდომაზე ვერ შეძლო მტკიცებულების წარმოდგენა, რაც საბჭოს დაარწმუნებდა, რომ აღნიშნული წიგნები სკოლას ექნებოდა მომავალში, დაპირებებზე გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლია. შესაბამისად, საბჭოს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, გაეთვალისწინებინა მხარის არგუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სკოლაში ამჟამად სწავლობდა 395 მოსწავლე. მისი განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სკოლას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო 450 მოსწავლე.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო 400 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რეცას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - რეცას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

**10. შპს -„მედიანა 2011"-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია, თუმცა შენიშვნის სახით აღსანიშნავია შემდეგი:

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

1.1 სპორტის სახეობად სკოლაში არჩეულია ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი – ყველა კლასისათვის. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სხვა გამაჯანსაღებელი აქტივობები, მათ შორის ფრენბურთიც. ამასთან, ბათუმში შენობის 1 სართულზე იდგმება ჩოგბურთის მაგიდები, რომლებსაც ამჟამად ხელშეკრულების საფუძველზე ამზადებს ფიზიკური პირი. ეზოში არის ფრენბურთის მოედანი. ამ ეზოს კუთვნილების დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა, შენობა ამ ეზოში მდებარეობს და ფრენბურთის მოედანი სკოლის მიერაა მოწყობილი.

ქობულეთში სკოლის შენობის გვერდით მდებარე მერიის კუთვნილი მოედნის სასკოლო მიზნებისათვის გამოყენების შესახებ ხელშეკრულება გაფორმების პროცესშია.

1.2 სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ინსტა-ჯორჯიასთან" საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისთვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობების (208 ერთეული) შეძენაზე და გამოყოფილია ოთახი ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიის მეორე ეგზემპლარის შეძენას ქობულეთში მდებარე ფართისთვის სკოლა აპირებს თურქული კომპანიისგან "lABOR KIMYA Tikaret Limited Sirkedi".

დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა შპს ,,მედიანა - 2011"-სა და ,,BIMKAMATBAACILK ve KAGITCILIK" LTD,STI"-ს შორის 2011 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის ნასყიდობის თაობაზე. ხელშეკრულებას თან ერთვოდა ლაბორატორიული აღჭურვილობის (208 ერთეული) ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საბჭოს ესაჭიროებოდა მყარი მტკიცებულება (მაგ. გადახდის დამადასტურებლი დოკუმენტი). მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ხელშეკრულების არსებობა არ იყო საკმარისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგანაც ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალი არის რთული ხასიათის, უნდა მომხდარიყო თანხის დაზუსტება, თანხის გადახდას დაწესებულება გეგმავდა ნაღდი ანგარიშსწორების გზით.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად, ,,ხელშეკრულების თანხა შეადგენს 7 000 ლარს, რომლის 50%-ს მყიდველი გადარიცხავს გამყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 3 საბანკო დღეში, ხოლო დარჩენილ 50%-ს მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების დროს, ეს თანხა ექვემდებარება დაზუსტებას".

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ლაბორატორია ან ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი გადახდის ქვითარი. დაწესებულებას შეუძლია, კარგად მოემზადოს და ისე შემოიტანოს საავტორიზაციო განაცხადი.

საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ, წამოაყენა წინადადება, ავტორიზაციის მხოლოდ ბათუმის ბაზაზე მინიჭების თაობაზე, რამდენადაც ბათუმში არსებულ სასკოლო ბაზასთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ხოლო ქობულეთის ბაზაზე ავტორიზაციის მოთხოვნები (ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაწილში) არ არის დაკმაყოფილებული.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში მოცემული იყო მხოლოდ ქ. ბათუმი. ექსპერტთა ვიზიტის დროს კი დაწესებულებამ წარმოადგინა ქ. ქობულეთში არსებული ფართიც და მოითხოვა მისი შემოწმებაც.

აღნიშნული გარემოება დაადასტურა ექსპერტმაც, რომელმაც აგრეთვე დაადასტურა, რომ მათი ვიზიტის დროისათვის ლაბორატორიის შეძენის საკითხებზე თურქულ კომპანიასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო არ იყო უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით შეეცვალა დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლების მოთხოვნა, ავტორიზაციის მიზნებისათვის საექსპერტო შემოწმებას დაქვემდებარებოდა როგორც ქ. ბათუმში, ისე ქობულეთში განთავსებული მათი მატერიალური რესურსები.

01:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 01:15 საათზე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უბრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 250 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მედიანა 2011"-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად შპს - „მედიანა 2011"-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

## 11. შპს - „ლაშარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

სკოლის კათედრების ოქმებში აღნიშნულია, რომ მათ აირჩიეს სახელმძღვანელოები: სახელმძღვანელოთა უმრავლესობა გრიფირებულია. გამონაკლისს წარმოადგენს IX-X კლასების ხელოვნების სახელმძღვანელოები და ყველა კლასის მუსიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც წარმოდგენილი არ იქნა ვიზიტის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელებისას მზადების პროცესი სკოლაში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. სკოლის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო გრიფირებული იყო.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, თქმით, გასულ სასწავლო წელს გრიფირებული სახელმძღვანელოების დიდი არჩევანი იყო, შემდეგ კი შემცირდა მათი რაოდენობა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით განისაზღვრა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დანარჩენი სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ მომზადების პროცესში იყო. შესაბამისად, მეექვსე კლასს მაღლა, დაწესებულებას ჯერ-ჯეროობით უნდა გამოეყენებინა ძველი გრიფირებული სახელმძღვანელოები.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა, სახელმძღვანელოები არ იყო წარმოდგენილი სკოლაში ვიზიტის დროს, თუ სახელმძღვანელოები იყო, მაგრამ არა გრიფმინიჭებული. თამარ შუდრამ განმარტა, რომ, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში აღნიშნული გრიფირებული სახელმძღვანელოები ვიზიტის დროს არ დაფიქსირდა.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ გასულ წელს გრიფირებული მეცხრე და მეათე კლასების ხელოვნების სახელმძღვანელოები, მიმდინარე სასწავლო წელსაც გრიფირებული იყო, ხელოვნების ექვსი სახელმძღვანელო იყო გრიფირებული გასულ წელს.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, დააკონკრეტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გასული წლის გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით შეამოწმა სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისიწნებული წიგნების ჩამონათვალი და აღმოჩნდა, რომ გასული სასწავლო წლის გეგმაში გათვალისწინებული სახელმძღვანელობიც არ იყო გრიფირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მხარეს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მუსიკის

სახელმძღვანელო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახელმძღვანელო კი ჰქონდათ, მაგრამ არა გრიფმინიჭებული. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, სახელმძღვანელო საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, თუ იყო, მაგრამ არა გრიფმინიჭებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარიამ ხუციშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ხოლო სხვა სახელმძღვანელო დაწესებულებას სასწავლო მიზნებისათვის ვერ ჩაეთვლებოდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, რადგან ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ჯერ არ იყო ახალი სასწავლო წელი დაწყებული, დაწესებულებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღნიშნული სახელმძღვანელოები, თუმცა, მოგვიანებით შეიძინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, შეეძლო თუ არა დოკუმენტურად დაედასტურებინა სახელმძღვანელოების შეძენა, რაც მხარემ ვერ დაადასტურა.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 სკოლაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ამიტომ სასწავლო პროცესისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახების დათვალიერება ვერ მოხერხდა. ამასთან, I სართული (ნახევარსარდაფი) განკუთვნილია: კვების ბლოკისთვის, სპორტული დარბაზებისთვის (2 დარბაზი, ხრიდოლისა და მაგიდის ჩოგბურთისათვის) გასახდელებითა და საშხაპეებით, ბიბლიოთეკისათვის, სადაც აგრეთვე განთავსდება კომპიუტერების ოთახიც საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის (სათანადო აღჭურვილობით).

2.2 სკოლის ეზოში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სპორტული მოედნის მშენებლობა, სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

2.3 სკოლას აქვს აღჭურვილობა ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიისათვის: სასწავლო რეოსტატი (3 ცალი), ვოლტმეტრი, კონდენსატორები (12 ცალი), წინაღობები (10 ცალი) და სხვა. სულ 116 ერთეული. თუმცა, ცენტრის დირექტორის მიერ 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ლაბორატორიული მოწყობილობა უნდა შეადგენდეს 208 ერთეულს.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეკონკრეტებინა, ვიზიტის განმავლობაში სარემონტო სამუშაოების გამო საერთოდ ნახეს თუ არა კომპიუტერები და ლაბორატორიის აღჭურვილობა დაწესებულებაში ვიზიტის განმავლობაში. მარიამ ხუციშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ კომპიუტერები ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, მაგრამ ის არ იყო განლაგებული კომპიუტერულ კლასში, რაც შეეხება ლაბორატორიის აღჭურვილობას, ისიც დაფიქსირდა ვიზიტის განმავლობაში, თუმცა, არა 208 ერთეული, არამედ - 116 ერთეული და ამასთან, ლაბორატორიის ოთახი არ იყო მოწყობილი.

2.4 დირექტორის განმარტებით, სკოლაში მიმდინარეობს გათბობის სისტემის მონტაჟი, თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის მოწოდებაზე.

2.5 ვიზიტის მომენტისათვის სკოლას არ აქვს დაპტირებული გარემო განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის, თუმცა დირექტორის განმარტებით, იგეგმება შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა (პანდუსები).

მხარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დიდი შრომა გასწია, შემუშავებული ჰქონდა შესაბამისი პროექტი და გეგმა, რომლის მიხედვითაც, პირველ ეტაპზე დაწესებულება გეგმავდა შენობის დასრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მხარეს ლაბორატორიასთან დაკავშირებით სთხოვა ახსნა-განმარტების გაკეთება. მხარემ განმარტა, რომ სკოლას ძალიან კარგი ლაბორატორია აქვს, უკეთესი, ვიდრე სტანდარტით არის დადგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავად ფიზიკოსი

იყო პროფესიით და თვლიდა, რომ პირველ ეტაპზე სკოლის ლაბორატორია სავსებით აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.

გათბობის სისტემასთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით თამარ შუდრამ საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებელუებამ უკვე წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება, რის შემდეგაც თავმჯდომარემ შენიშვნა მოხსნა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნაზე გაეკეთებინა განმარტება. მხარის თქმით, შენობაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა კიბეების დემონტაჟი და პროექტში გათვალისწინებული ჰქონდათ ახალ კიბეზე პანდუსის დამაგრებაც, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო აღნიშნული პროექტი საბჭოსთვის წარმოედგინა. გარდა ამისა, სკოლას ასეთი მოსწავლეებისათვის პროგრამაც ჰქონდა შემუშავებული. შენობის ფართო დერეფნებიც ხელსაყრელ გარემოს შექმნიდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილია ინფორმაცია ამ დაწესებულების შესახებ, ის ადრე ჩამოყალიბდა და განთავსებული იყო საბავშო ბაღის შენობაში, რომლის შეძენასაც აპირებდა და ამ პროცესში სამინისტროც იყო ჩართული, თუმცა საბავშვო ბაღები მერიის განკარგულებაში იყო და საბოლოოდ, შენობის შეძენა ვერ მოხერხდა, რის შემდეგაც, დაწესებულებამ გადაწყვიტა ახალი ფართი შეეძინა. ახალი შენობა კარგადაა ადაპტირებული სასწავლო პროცესთან, სკოლას ჰყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები. გარდა ამისა, ყველა ინიციატივა და პროცესი რაც ხდებოდა განათლების სფეროში, დაწესებულების მიერ გაზიარებული იყო. დაწესებულებას მოუხდა დიდი თანხის გაღება ფართს გამო, ამიტომ, ლაბორატორიის შეძენა ვეღარ მოხერხდა, თუმცა, სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია და იგეგმება ლაბორატორიის აღჭურვილობის შევსება.

**3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

3.1 სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, ყველა თანამშრომელთან იდება ხელშეკრულება და დირექტორის მიერ ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი. ექსპერტების ვიზიტის დროს 2011–2012 სასწავლო წლისათვის ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია დამქირავებლისა და დაქირავებულთა ზოგადი უფლება-მოვალეობანი, გაფორმებული იყო მხოლოდ პედაგოგებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ბიბლიოთეკართან. რაც შეეხება დირექტორის მიერ გაფორმებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებს, რომლებშიც მითითებულია თანამშრომლის თანამდებობრივი სტატუსი, დაფიქსირდა რამდენიმე შეუსაბამობა:

ა) ქალბატონი მეგი სიდამონიძე, დირექტორის ბრძანების მიხედვით, დანიშნულია დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. აღნიშნული თანამდებობრივი წოდება კი საერთოდ არ არის სკოლის წესდებაში დაფიქსირებული. მასში ახალი წესდების მიხედვით იგულისხმება აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა ეს შესწორება არ შესულა ბრძანებაში;

ბ) ორი პედაგოგი (მუსიკის და ბიოლოგიის), დირექტორის ბრძანებით, დანიშნულნი არიან თანამდებობებზე, თუმცა ისინი არც საშტატო განრიგის პროექტში ფიქსირდებიან და არც ხელშეკრულებები არის მათთან გაფორმებული;

გ) ტექნიკურ და დამხმარე პერსონალთან დაკავშირებით არც ბრძანებები იყო წარმოდგენილი და არც ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შრომის კოდექსის მიხედვით, შეეძლო ბრძანებით დაენიშნა თანამშრომელი, რაც მომხსენებელმაც დაადასტურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ სკოლას ხუთი სერტიფიცირებული პედაგოგი ჰყავს, მაგრამ ვიზიტის დროს სერთიფიკატები არ იყო გაცემული ჯერ და ეს დოკუმენტურად ვერ დაადასტურეს.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ ზოგიერთ პირად საქმეში იყო საგამოცდო ბარათები, მაგრამ მხოლოდ ერთ საგანში.

მხარემ დაადასტურა აღნიშნული, მაგრამ აქვე დასძინა, რომ დღეისათვის დაწესებულებას ნამდვილად ჰყავდა ხუთი სერტიფიცირებული პედაგოგი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, შენიშვნა უნდა მოხსნილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდათ ლაბორატორიის აღჭურვილობის შევსება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ადამიანურ რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით იგი პრობლემას ვერ ხედავდა, თუმცა მატერილაურ რესურსთან მიმართებით (კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და ლაბორატორიის საკითხზე), განაცხადა, რომ ის არ იყო ექსპერტი და ვერ მოახერხებდა შეფასებას 116 ლაბორატორიული ერთული ანაცვლებდა თუ არა 208 ლაბორატორიულ ერთეულს.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, სკოლას ლაბორატორია საერთოდ რომ არ ჰქონოდა, მაშინ აღნიშნული უპირობოდ ჩაითვლებოდა ხარვეზად, თუმცა მას პროფესიული თვალსაზრისით შეუძლია ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობები ნახოს, თუ არსებობს აღნიშნული 116 ერთეულის სპეციფიკური ჩამონათვალი, და დაადგინოს, 116 ერთეულით შესაძლებელია თუ არა 208 ერთეულის ჩანაცვლება. ლაბორატორიის 116 ერთულის ჩამონათვალი არ იქნა წარმოდგენილი სხდომაზე, რათა მომხდარიყო მისი შეფასება. ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ 2010 წელს 116 ერთული იყო სასკოლო ლაბორატორიის სტანდარტი; 2010 და 2011 წლის სტანდარტები ერთმანეთისაგან არ არის ძალიან შორს.

საბჭოს თავმჯომარე არ დაეთანხმა ლალი ღოღელიანს და აღნიშნა, რომ ლაბორატორია დღეს მოქმედი სტანდარტის ადეკვატური უნდა იყოს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 170 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 170 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "ლაშარის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ლაშარს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.

12. შპს - „ნილემის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ვებგვერდი სკოლას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია. სკოლას აქვს თავისი განყოფილება ვებგვერდზე www.chiaturainfo.ge, რომელიც, დასკვნის მიხედვით, ასრულებს მხოლოდ საინფორმაციო ფუნქციას, ხოლო კომუნიკაციისათვის იყენებენ ელექტრონულ ფოსტას. ცენტრის მიერ გადამოწმდა მითითებული ვებგვერდი და აღმოჩნდა, რომ მასზე განთავსებულია მხოლოდ ლიცეუმის ფოტოსურათი.

1.2 დაწესებულებაში არ არის ვიდეოკამერა, რომელიც გააკონტროლებს გარე პერიმეტრს, მისი მონტაჟი გათვალისწინებულია ერთწლიანი გეგმის მიხედვით პირველივე სემესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს და სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია ორივე ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა შეემოწმებინა დომეინური სახელისა და ჰოსტინგის ფლობის შესახებ ხელშეკრულება და გადაემოწმებინა ვებგვერდი. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის რა მექანიზმები გააჩნდა ავტორიზაციის მაძიებელს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას ჰყავდა ღამის დარაჯი და დამონტაჟებული ჰქონდა კამერა შიდა პერიმეტრის კონტროლის განხორციელებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა ასევე გარე პერიმეტრის კონტროლისათვის განკუთვნილი კამერის შეძენის თაობაზე დადებული ხელშეკრულება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მომხსენებელს, აკმაყოფილებდა თუ არა მოცემული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაწესებულება უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე არსებულ სტანდარტს.

მომხსენებლის განმარტებით, ხელშეკრულებიდან შეუძლებელია უსაფრთხოების კამერის პარამეტრების იდენტიფიცირება და მათი შედარება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

ცენტრის დირექტორის მოადგილის, პეტრე წურწუმიას, განმარტებით, უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მკაცრად დადგენილი მოთხოვნა უსაფრთხოების კამერების პარამეტრებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოცემული პარამეტრების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.

საბჭოს თავჯდომარემ განუმარტა ავტორიზაციის მაძიებელს, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, საბჭოს არ შეეძლო ემსჯელა უსაფრთხოების კამერის პარამეტრების სტანდარტთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ავტორიზაციის მაძიებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ მან გაიარა კონსულტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც დაუდასტურეს, რომ უსაფრთხოების კამერები აკმაყოფილებდა სტანდარტს.

საბჭოს წევრის რუსუდან ტყეშელაშვილის თქმით, საბჭოს შეეძლო ცნობად მიეღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასება და ჩაეთვალა, რომ სტანდარტი ამ კუთხით დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეუძლებელია იმის დადგენა, მართლაც მიიღო თუ არა ავტორიზაციის მაძიებელმა მსგავსი დადასტურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლისაგან.

საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ დასკვნა ცალსახად დადებითია, ხოლო რაც შეეხება უსაფრთხოების კამერას, არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ სტანდარტი დარღვეულია.

საბჭოს თავჯდომარემ დაამატა, რომ არ არსებობდა არც იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 150 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 150 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ნილემის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ნილემს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

**13. შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ფაქტობრივი გარემოება საბჭოს წარუდგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 დაწესებულება საკუთარ თვითშეფასებაში აფიქსირებს სასკოლო სასწავლო გეგმის არსებობას, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სასკოლო საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, შეფასების პრინციპები და სადამრიგებლო პროგრამა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დამოწმებულია სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით, თარიღის მითითების გარეშე. სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმების ჟურნალი (ოქმები ჩაწერილი იყო რვეულში, არ იყო ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული), რომელშიც ბოლო პედსაბჭოს ოქმი დაფიქსირებულია 2011 წლის 17 ივნისით. სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმად წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული პედსაბჭოს მიერ, ასევე არ იყო წარმოდგენილი დირექტორის ბრძანება დამტკიცების შესახებ. სკოლაში არ იყო ბრძანებების რეგისტრაციის ერთიანი რეესტრი. ბრძანებები აკინძული იყო ბაინდერში და მათ შორის არ მოიპოვებოდა სასკოლო სასწავლო გეგმად წარმოდგენილი დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იწყება სკოლის მისიით. შემდგომ დოკუმენტი მოიცავს საკითხების ჩამონათვალს, რომლის შესრულებასაც აპირებს სასწავლებელი 2011–2012 სასწავლო წელს. საკითხებში შეტანილია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის სტანდარტში შემავალი თემები, ასევე საკითხები, რომლებიც არ წარმოადგენენ სასკოლო სასწავლო გეგმის საგანს. დოკუმენტი ორგანიზებულია სამოქმედო გეგმის, ცხრილის სახით, რომელშიც მითითებული იყო შესრულების თარიღები და კომენტარები. ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტები ჩაწერილი იყო არასრული სახით.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების თავში არ არის მითითებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ვადები, დასვენების დღეებისა და არდადაგების თარიღები.

სკოლა არ ეწევა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, თუმცა, სკოლის წესდებაში არის პუნქტი: 7.2. დამატებითი საგნები: ლოგიკა და ფსიქოლოგია, კულტურის ისტორია, ადამიანი და გარემო.

წარმოდგენილი დოკუმენტი მთლიანობაში არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს.

ანალოგიურად იყო გაფორმებული 2010–2011 წლების, დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმაც.

1.2 სკოლა თვითშეფასებაში ხაზს უსვამს საბუნებისმეტყველო საგნების სიღრმისეულ შესწავლას. თუმცა სკოლაში არ არის შესაბამისი რესურსები ბიოლოგიასა და ქიმიაში. ფიზიკის ლაბორატორიული რესურსი მრავალფეროვანია და ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტს.

1.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარის დადასტურების ნაწილში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამოკვეთს საფეხურების საგნების მისაღწევ შედეგებსა და სამოქმედო გეგმებს. კითხვარის თანახმად, სკოლა მომავალში გეგმავს სასკოლო სასწავლო პროცესის დაგეგემვას და სასწავლო რესურსებზე ზრუნვას. ამ ყველაფრის შესრულება იგეგმება ახალი სასწავლო წლის პირველ კვარტალში.

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების სისტემა არ არის გაწერილი. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის შეფასების სისტემას. წარმოდგენილი იყო 2010–2011 წლის მე–12 კლასის ჟურნალი, რომლის მიხედვითაც ამ კლასში ხორციელდებოდა სამკომპონენტიანი შეფასება.

სკოლაში არ იყო 1-ლი-მე-11 კლასების 2010–2011 წლის ჟურნალები, შესაბამისად, არ დასტურდება შეფასების პროცესის მიმდინარეობა. სკოლამ ჟურნალის ნაცვლად წარმოადგინა საგნებში შეფასებების აღიცხვის სემესტრული ფორმა. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პედაგოგები პირად ჩანაწერებში (ბლოკნოტებში ან რვეულებში) აწარმოებდნენ კლასის დასწრების აღრიცხვას და შეფასებას. სკოლამ ცალკეულ ფურცლებზე წარმოადგინა ფორმა, რომელიც აჯამებს სემესტრულ ნიშნებს შეფასების სამ კომპონენტში და დამტკიცებულია დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

დაწესებულების დირექტორმა, ელიზა კოშაძემ განმარტა, რომ წინა წლებში სკოლა ადგილობრივი რესურს-ცენტრიდან იღებდა სასკოლო ჟურნალებს. შემდგომ პერიოდში, სკოლას თავად უნდა შეეძინა შესაბამისი საკლასო ჟურნალები, რაც სკოლის დირექტორის განმარტებით, შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიან საერო სკოლა-ლიცეუმს არ გაუკეთებია.

რაც შეეხება დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, ელიზა კოშაძემ აღნიშნა, რომ წლების წინ მოსწავლეებს სთავაზობდნენ ასეთ მომსახურებას, თუმცა ამჟამად სკოლა აღნიშნული საგნების სწავლებას აღარ ახორციელებს. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლის წესდების 2.7 პუნქტი ეხებოდა სწორედ წინა წლებში განხორციელებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიან საერო სკოლა-ლიცეუმს სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ 13 სექტემბერს ჩაატარეს პედსაბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე ვერ მოასწრეს დამტკიცება. შესაბამისად, სკოლის დირექტორის განმარტებით სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული არ იყო.

იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შენიშვნებს, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, როგორ აწარმოებდა სკოლა სასკოლო ჟურნალის გარეშე, მოსწავლეების შეფასებების დაფიქსირებას. სკოლის დირექტორმა ელიზა კოშაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლები პირადი ჩანაწერების მეშვეობით აფასებდნენ მოსწავლეებს.

დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონოდა სასკოლო ჟურნალები, სადაც დაფიქსირდებოდა მოსწავლეების მიერ მიღებული ნიშნები და მხოლოდ პირადი ჩანაწერებით შეუძლებელი იყო ამ პროცესის გაკონტროლება.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმი ფუნქციონირებს ორ მისამართზე: თელავის რაიონის სოფელ აკურაში და ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. №8-ში. სოფელ აკურაში სკოლა მდებარეობს ყოფილი საავადმყოფოს ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, სადაც დაკავებული აქვს 250 კვ. მ. ფართობი. სკოლას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება სოფელ აკურის საკრებულოსთან, რომელსაც მოქმედების ვადა ამოეწურა 2003 წელს, ამის შემდეგ სკოლა განაგრძობდა აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირებას, თუმცა ფართის მართლზომიერი ფლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ვერ წარმოადგინა, ამასთან, სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ, რადგან შენობის მფლობელის ვინაობა გაურკვეველი იყო, და რადგან სკოლამ თავისი სახსრებით გაარემონტა შენობაში მის მიერ დაკავებული ფართი, ამიტომ სოფლის საკრებულოსთან და რაიონის გამგეობასთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ის განაგრძობდა მოღვაწეობას აღნიშნულ შენობაში. ამჟამად სკოლას შეტანილი აქვს განცხადება კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოში დაკავებული ფართის შეძენის თაობაზე და ელოდება გადაწყვეტილებას. აღნიშნულ შენობაზე ვერ მოხერხდა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მოძიება, რადგან რეესტრის საძიებო პარამეტრები (მესაკუთრე, მისამართი, საკადასტრო კოდი და სხვა) ვერ დგინდება.

სკოლა აგრეთვე ფლობს ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. №8-ში არსებულ 149,8 კვ. მ. ფართს. იჯარის ხელშეკრულება №4/ი-2011 (10/05/2011) გაფორმებულია არა სკოლასთან, არამედ ფიზიკურ პირ ელიზა კოშაძესთან (პ/ნ 20001033405), იგი წარმოადგენს სკოლის დირექტორს და ამავე დროს ერთ-ერთი დამფუძნებელია.

2.2 სოფელ აკურაში მდებარე სკოლის შენობის ფართი მთლიანად დათმობილი აქვს საკლასო ოთახებს, ხოლო საკლასო ოთახების რაოდენობა არის 11. სკოლას ჰყავს 12-ვე კლასი. დირექტორთან საუბრისას გაირკვა, რომ საკლასო ოთახების სიმცირის გამო, დილით სწავლას იწყებს თერთმეტი კლასი, ხოლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ სწავლას იწყებს დარჩენილი მეთორმეტე კლასი. საკლასო ოთახებში არის 53 ორადგილიანი მერხი და 108 სკამი.

2.3 სოფელ აკურაში სკოლის შენობის გვერდით არის სოფლის საერთო სარგებლობის სპორტული მოედანი, რითაც სკოლა სარგებლობს სპორტის გაკვეთილების დროს.

2.4 სკოლას ჩუქებით მიღებული აქვს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიული რესურსის გარკვეული ნაწილი, რომლებიც გადანაწილებულია ორივე მისამართზე. წარმოდგენილი რესურსის მხოლოდ ნაწილი შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილს.

2.5 გათბობა ხორციელდება შეშის ღუმელების საშუალებით.

2.6 სოფელ აკურაში მდებარე სკოლაში ერთ-ერთ საკლასო ოთახში კარადაში განთავსებულია 221 ერთეული მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა, რომელთაგან 61 ერთეული გადაცემულია რესურსცენტრის მიერ და წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო დანარჩენი წიგნები, დირექტორის განმარტებით, შემოწირულობის სახით მიღებული აქვს მოსწავლეებისგან, თუმცა დოკუმენტურად ვერ დასტურდება. ბიბლიოთეკაში ასევე არის გასული წლის სოციალურად დაუცველი ბავშვების სახელმძღვანელოები, ახალი გრიფირებული სახელმძღვანოლოები არ არის, მაგრამ დირექტორის განცხადებით, იგი აპირებს გამომცემლობებთან დაკავშირებას და შეძენას.

2.7 სოფ. აკურის სკოლაში დამზადებულია პანდუსები და საჭიროებს კიბეებზე დამონტაჟებას. თელავის სკოლა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და არ საჭიროებს პანდუსს. სველი წერტილები ორივე მისამართზე საჭიროებს ადაპტირებას სსსმ მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით, თუმცა ასეთი მოსწავლე სკოლას არ ჰყავს.

2.8 სკოლას ვებგვერდი არ აქვს, მაგრამ იგეგმება მისი დამზადება.

2.9 სკოლაში არც ცეცხლმაქრებია და არც საევაკუაციო გეგმა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით დაგეგმილია მათი მოწყობას.

2.10 ქ. თელავში მდებარე შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები არ არის, სოფელ აკურის სკოლის შენობაში პირველ სართულზე მდებარეობს სასოფლო ამბულატორია,

ამდენად სკოლა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ დახმარებას, ამავე დროს აპირებს პირველადი დახმარების საშუალებების შეძენას ორივე სკოლისათვის, ასევე მედდის აყვანას შტატში.

2.11 სკოლას ორივე მისამართზე ჰყავს თითო ღამის დარაჯი, სასწავლო პროცესის დროს შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობები.

2.12 დაწესებულებაში გასული დოკუმენტაციის არქივი არასრულია. ასევე არ გააჩნიათ ბრძანების წიგნი. სკოლის დირექტორის განმარტებით ბრძანებების წიგნს გასულ წლებში აწარმოებდნენ და მერე რატომღაც შეწყვიტეს.

საბჭოს წევრი იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიან საერო სკოლა-ლიცეუმს, ჰქონდა თუ არა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული თელავის სოფელ აკურაში და ქ. თელავის დავით რექტორის ქუჩა №8-ში არსებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ელიზა კოშაძემ აღნიშნა, რომ სოფელ აკურაში მდებარე შენობაზე სკოლას სოფელ აკურის საკრებულოსთან დადებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გაუვიდა 2003 წელს. 2003 წლიდან დღემდე, სკოლის დირექტორის განმარტებით, საკრებულოსთან არსებობდა მხოლოდ ზეპირი შეთანხმება და შესაბამისად, მათ შორის ახალი საიჯარო ხელშეკრულება აღარ გაფორმებულა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ვერ დგინდებოდა, თუ ვის ბალანსზე იყო რეგისტრირებული სოფელ აკურაში მდებარე შენობა-ნაგებობა და ამის გამო ფერხდებოდა ხელშეკრულების გაფორმება. საბჭოს წევრი იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა რეგისტრირებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ქ. თელავში დავით რექტორის №8-ში არსებულ შენობაზე დადებული იჯარის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული ხელშეკრულება იყო რეგისტრირებული, თუმცა მოიჯარედ რეგისტრირებული იყო არა შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმი, არამედ - ელიზა კოშაძე.

**3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

3.1 ხათუნა მჭედლიშვილი მე-2 და მე-3 კლასებში ასწავლის ხელოვნებას, დამთავრებული აქვს ალტაის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხორბლის დამუშავების ტექნოლოგია.

3.2 სანქციებისა და წახალისების გამჭირვალე მექანიზმი სკოლას შემუშავებული არ აქვს. ვერ მოხერხდა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ხათუნა მჭედლიშვილს, მართალია ჰქონდა სხვა კვალიფიკაცია, თუმცა ხელოვნების დარგში გააჩნდა სათანადო გამოცდილება.

ცენტრის დირექტორის მოადგილე პეტრე წურწუმია ელიზა კოშაძეს შეეკითხა, თუ როდიდან ფუნქციონირებდა შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმი. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 2000 წლიდან. ცენტრის დირექტორის მოადგილე დაინტერესდა, ამ ხნის მანძილზე რატომ არ ჰქონდა მოგვარებული სკოლას აღნიშნული პრობლემები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მართალია დაწესებულება არ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, თუმცა სკოლადამთავრებულებს ჰქონდათ საკმაოდ კარგი შედეგები. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭო განიხილავს დაწესებულების სწორედ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს. მისი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე გვქონდა სამივე სტანდარტის დარღვევა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქ. თელავის მრავალპროფილიან საერო სკოლა-ლიცეუმს უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

**14. შპს - არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1.საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 დაწესებულების მისიის შესაბამისად და სკოლის წარმომადგენლის განმარტების თანახმად, V-XI კლასებში მათემატიკის გაღრმავებული სწავლებაა გათვალისწინებული. თუმცა ამჟამად საგნის სასწავლო პროგრამები არ არის, მათი შემუშავება მოხდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

1.2 ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის (VI, VIII, XII კლასების) პორტფოლიოში არის გასული სასწავლო წლის თემატურ-კალენდარული გეგმა. მასწავლებელმა ვერ წარმოადგინა შეფასების სქემები, რის მიხედვითაც აფასებს მოსწავლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს, დაეზუსტებინა გასული სასწავლო წლის პერიოდი.

მომხსნებელმა განმარტა, რომ გულისხმობდა 2010-2011 სასწავლო წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტის შენიშვნა მოხსნა, რამდენადაც 2011-2012 სასწავლო წელი ჯერ არ დაწყებულა, ამდენად სკოლა ვერ წარმოადგენდა ამ პერიოდის თემატურ - კალენდარულ გეგმას.

1.3 ფიზიკის (VIII, X, XI კლასების) მასწავლებლის ჟურნალში მოცემული საგნის სასწავლო გეგმები გაწერილია კვირებზე. გეგმები საჭიროებს დახვეწას, რადგან არ იძლევა სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი რა ცოდნისა და უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს მოსწავლეებში. დანარჩენი საგნების სასწავლო გეგმები არ იყო წარმოდგენილი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მათი შემუშავება მოხდება სასწავლო წლის დაწყებამდე.

1.4 წარმოდგენილ იქნა 2010-2011 სასწავლო წლის კათედრების ჟურნალები. მათში გამოყენებული სახელმძღვანელოები არ არის შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მაგალითად: VI კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოიყენება გამომცემლობა „ინტელექტის“ სახელმძღვანელო, რუსულში დაწყებით საფეხურზე მითითებულია ბოლდაკოვას რედაქციით, მათემატიკაში I, II, III კლასებში სწავლებისას გამოიყენებენ ნ. გვილავას, ე. ჩილაჩავას, ს. ჩხეიძის და ა. შ. რედაქციით. არცერთი მათგანი არ არის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში, ასევე ინგლისურ ენაში „მაკმილანის“ გამომცემლობით წიგნით სარგებლობა არ ხდება დაწყებითი საფეხურის არცერთ კლასში, ამდენად ვერც გასული წლის საგნების სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენაა შესაძლებელი.

ჟურნალებში არ არის ინფორმაცია კათედრებზე:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების შესახებ; ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების შესახებ; გ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის

შესახებ (მაგ.: ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.); ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვის შესახებ; ვ) სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ; ზ) კათედრების მოწყობის შესახებ (კათედრის შეხვედრების ორგანიზება, სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება, პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების ორგანიზება და სხვა.

1.5 დაწესებულებაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ამონარიდია ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კონკრეტულად სკოლისათვის რაიმე ცვლილება მასში არ არის შეტანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცება იგეგმებოდა სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დღეის მდგომარეობით სასწავლო გეგმა დასრულებული სახით არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას მათემატიკის გაღრმავებული სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გეგმის შემუშავება. დღეის მდგომარეობით ყველა საგნის ყველა პროგრამა მზად არის. აღნიშნული განპირობებული იყო დროის არარსებობით. ამასთან, დაწესებულებამ ცენტრს სთხოვა ექსპერტთა ვიზიტის გადავადება, ექსპერტებს ელოდებოდნენ ოქტომბრის თვეში, თუმცა ვიზიტი განხორციელდა 7 და 8 სექტემბერს. სწორედ ამ გარემოების გამო დაწესებულება ექსპერტებს მოუმზადებელი დახვდა.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წიგნები სწავლის დაწყებამდე გაყიდვაში არ შემოდის, შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის მისი შეძენა ვერ მოხერხდა. რაც შეხება მასწავლებლის ჟურნალში სასწავლო გეგმის სრულყოფილი ფორმით გაწერას, ექსპერტთა ვიზიტისათვის მხოლოდ კვირებზე გაწერა მოასწრეს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა ხარვეზის სრულყოფილი ფორმით გამოსწორების ფაქტი უნდა დაადასტუროს ექსპერტმა. დაწესებულება უფლებამოსილია, თავიდან შემოიტანოს საავტორიზაციო განაცხადი, რის შედეგადაც დაწესებულების ყველა დოკუმენტაცია (მათ შორის გამოსწორებულიც) ექსპერტის მიერ თავიდან შემოწმდება.

წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ დაწესებულება არ ელოდა ექსპერტებს, შესაბამისად მათ მოუმზადებელი დახვდა.

ნანა ჭიღლაძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ ცენტრს მიმართა ექსპერტთა ვიზიტის გადადების მოთხოვნით. დაწესებულებას მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ჰქონდა ფართის (და არა პროგრამების) პრობლემა. ვადის გადაწევა მოხდა 19 ოქტომბრამდე, თუმცა, ამ ვადაში იგულისმებოდა პერიოდი ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩათვლით.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

შპს - არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი" მდებარეობს ქ. წალენჯიხაში, სალიას ქ. N1-ში. აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობა სახელმწიფოს საკუთრებაშია, რომელიც სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აქვს სარგებლობაში. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა სამეგრელო–ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოდან მიღებული კორესპონდენცია (05.03.2010წ. N2–22/155, N2–22/156, N2–22/157), რომლის შესაბამისად დაწესებულება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თვითნებურად სარგებლობდა 2006 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მდებარე ქ. წალენჯიხაში, სალიას ქ. N1. 405.7 კვ. მ. ოდენობით. ამავე კორესპონდენციით სკოლას აუდიტორული დასკვნის საფუძველზე განესაზღვრა საიჯარო ქირა ფართით სარგებლობისათვის ვადის მითითების გარეშე. სკოლის დირექტორის განმარტებით,

აღნიშნული კორესპონდენციის საფუძველზე საიჯარო ურთიერთობები არსებობს სახელმწიფოსთან, თუმცა იჯარის ხელშეკრულება არ დადებულა და, შესაბამისად, არ არის რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საიჯარო ურთიერთობების დასადასტურებლად საექსპერტო ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა ასევე საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები. დაწესებულებამ საექსპერტო ვიზიტისას წარმოადგინა საჯარო რეესტრიდან ამონაწერები (მომზადების თარიღი 05.05.2010წ., 06.05.2010 წ., 06.05.2010წ.) შენობის არასრულ ფართზე, რომლის შესაბამისად, ქ. წალენჯიხაში, სალიას ქ. N1-ში მდებარე შენობის მესაკუთრეა სახელმწიფო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ქონება საპრივატიზაციო ნუსხაშია, სახელმწიფომ მათ საიჯარო ხელშეკრულება არ გაუფორმა, თუმცა საიჯარო ხელშეკრულების ფაქტობრივი არსებობის დადასტურება დაწესებულებას შეუძლია გადახდის ქვითრების წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭო ფართთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი, რომელიც დაადასტურებდა იჯარის რეგისტრაციის ფაქტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ აუქციონის წესით შეიძინა ახალი შენობა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ახალი შენობა გადამოწმდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, მატერიალური ბაზა მოსაწყობია. ვიზიტის დროს ექსპერტებს აღნიშნული შენობა არ უნახავთ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რამდენადაც ამ ახალი შენობის ფლობა დასტურდება საჯარო რეესტრის მონაცემებით, მისი შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უნდა დაადგინოს ექსპერტმა. საბჭო აღნიშნულს ვერ შეამოწმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩის“ ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად შპს - არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „ქიაჩს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

**15. სპს - „თამარ ნათენაძის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. ყველა მათგანი გრიფმინიჭებულია, ინგლისურის გარდა (VII-XII კლასებში).

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა დამკვირებული პრაქტიკით. შესაბამისად, საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ხარვეზს არ წარმოადგენდა.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 სკოლის მიერ დაკავებული ფართი საკუთრებაში აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელსაც სკოლასთან აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება 2005 წლის 8 ნოემბერს. რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: 5774/1. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 6 წელი, შესაბამისად, ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით.

სკოლის დამფუძნებლის თამარ ნათენაძის და დირექტორის თამარ ჭუმბურიძის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

2.2 სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა სარგებლობს 173–ე საბავშვო ბაღის სპორტული დარბაზით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში არსებული სპორტული მოედნით. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ საექსპერტო ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სპორტული დარბაზით და მოედნით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლის დამფუძნებლის თამარ ნათენაძის და დირექტორის თამარ ჭუმბურიძის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

2.3 სკოლას საექსპერტო ვიზიტის პერიოდში სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია არ აქვს, თუმცა წარმოადგინეს შპს ,,ინსტა–ჯორჯიასთან“ 2011 წლის 28 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, გამყიდველი იღებს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს მყიდველს (სკოლას) მოძრავი ნივთი - ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია–ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, მას შემდეგ რაც მყიდველი (სკოლა) არაუგვიანეს 2011 წლის 23 სექტემბრამდე გადარიცხავს გამყიდველის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებაში მითითებულ ფულად თანხას.

2.4 სკოლამ საექსპერტო ვიზიტის დროს 2011 წლის 16 აგვისტოს გააფორმა N07 ხელშეკრულება შპს - ,,ჯორჯია აიტი გრუპთან" ვიდეო კონტროლის სისტემის მიწოდებასა და მონტაჟზე. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად: შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის კუთვნილ ობიექტზე დაამონტაჟოს ვიდეოკონტროლის სისტემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნების დაცვით. საექსპერტო ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა შპს - ,,ჯორჯია აიტი გრუპის" ვიდეო კონტროლის სისტემის მონტაჟი.

ექსპერტმა საჭოს წინაშე განმარტა რომ 2.1 შენიშვნა არ წარმოადგენდა ხარვეზს. მისი ასახვა დასკვნაში ინფორმაციული დატვირთვის მქონე იყო.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ იჯარის ხელშეკრულება დღეის მდგომარეობით უკვე გაგრძელებულია. ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, ასლები თან ერთვის საქმეს.

**3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

ყველა თანამშრომლის პირად საქმეს აკლია მხოლოდ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, რაც არღვევს სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს.

საბჭომ იმსჯელა დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 260 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 260 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - „თამარ ნათენაძის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების 260-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - „თამარ ნათენაძეს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

## 16. შპს - „არეას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილი, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1. შპს - „არეას“ ფაქტობრივი მისამართია ქ. ხობი, სპორტის ქ. №5. თუმცა აღნიშნულ მისამართზე რეესტრში მფლობელობა გამქირავლებლის სახელზე ვერ დასტურდება. საჯარო რეესტრის მიხედვით, გაურკვეველია, ვის ეკუთვნის აღნიშნული ფართი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლა ნამდვილად არის განთავსებული ხობში, სპორტის ქ. N5-ში. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის იქ მდებარეობს 1997 წლიდან, რასაც ადასტურებს ამ წლებში (1997-2011წ.წ.) მიწით სარგებლობის და შენობის იჯარის გადახდის ქვითრები.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ ვინ ფიქსირდებოდა შენობის მიმღებ მხარედ დოკუმენტაციით და ვის სახელზე იყო წარმოდგენილი ქონება.

ლალი შაიშმელაშვილმა დააზუსტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიმღებ მხარედ ფიქსირდებოდა სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, თუმცა, საჯარო რეესტრში ეს შენობა ვიზიტის განმავლობაში არ იყო რეგისტრირებული. ვიზიტის შემდეგ ფართი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა. დოკუმენტაციით, რომელიც დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, დასტურდებოდა შენობის გადაცემა, თუმცა, არ იყო მითითებული შენობის მისამართი. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულებები ფართის ფლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1997 წლის 12 აგვისტოს სპორტსაზოგადოება „შევარდენსა“ და შპს - „არეას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება „არეასათვის“ ხობის სპორტდარბაზ „მართვეში“ 50 კვ. მ.-ის იჯარით გადაცემის შესახებ. 2004 წლის 30 ივლისს იგივე იურიდიულ პირებს შორის გაფორმდა ქირავნობის ახალი ხელშეკრულება ხობის სპორტდარბაზ „მართვეში“ 650 კვ. მ. ოდენობის ფართის გამოყოფის შესახებ. არცერთ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული სპორტდარბაზ "მართვეს" მისამართი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სიტუაციური გეგმა და ორთოფოტო, რომელშიც ასევე არ არის მითითებული შენობის მისამართი და ვერ დგინდება სკოლის მიერ დაკავებული ფართი.

ლალი შაიშმელაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა განაცხადი ცენტრში, რომლის მიხედვითაც, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები დაწესებულებამ გამოასწორა. წარმოდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი, უძრავი ქონების პირდაპირი წესით მიყიდვის ფორმით შპს - „არეაზე“ გადაცემის შესახებ. აგრეთვე, პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, თუმცა, ხელმოწერის გარეშე.

მხარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შენობა არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაგრამ ვიზიტის დასრულების შემდეგ შემდეგ დარეგისტრირდა.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ გადაამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ შენობის გადაცემის პროცესი დაწყებული იყო, მაგრამ არ იყო დასრულებული და ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების კავშირი ამ პროცესთან, ვერ დგინდებოდა. ჰკითხა მხარეს, ამჟამად ვის საკუთრებაში იყო შენობა.

მხარემ აღნიშნა, რომ თავიდან ხელშეკრულება დაწესებულებამ გააფორმა სპორტსაზოგადოება „შევარდენთან", ხოლო შემდეგ აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა ფოთის ქონების სამმართველოს მიერ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ პროცედურა სწორად იყო დაწყებული, მაგრამ არ იყო დასრულებული. თეორიულად შესაძლებელი იყო და არსებობდა დიდი ალბათობაც იმისა, რომ აღნიშნული შენობა დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში აღმოჩნდებოდა მომავალში, მაგრამ საბჭოს სხდომის დღისათვის ეს ქონება იურიდიულად დაწესებულებას არ უდასტურდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა მოლოდინი, რომ პროცესი მათ სასიკეთოდ დასრულდებოდა.

თავმჯდომარემ მხარეს განუმარტა, რომ აღნიშნული პროცესი დაწესებულებას უნდა დაესრულებინა და ახალი განაცხადი წარმოედგინა. მას შეეძლო ეთხოვა ცენტრისთვის, რომ დაჩქარებული წესით დაწყებულიყო წარმოება. საბჭოს არ ჰქონია მანამდე პრეცედენტი, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ავტორიზაციის მიზნებისთვის დაწესეულებას ფართი ჩათვლოდა.

მხარის თქმით, სწორედ ამ მიზეზით ითხოვდა იგი სხდომის გადადებას. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების სასარგებლოდ მაქსიმალურად გადაიდო საკითხის განხილვა, მაგრამ ავტორიზაციის დებულებით დადგენილი ვადები ცენტრს შესაძლებლობას აღარ აძლევდა კიდევ გადაედო განხილვა.

1.2 სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებგვერდი, თუმცა, სამომავლოდ სკოლა გეგმავდა ვებგვერდის შექმნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ ყველა პრობლემა მოგვარდა ვიზიტის შემდეგ და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „არეას" ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „არეას" უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 3:25 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი